„სოციალისტები" კვლავ საკრებულოს წინააღმდეგ A2
საოცრება ოპერის თეატრის სცენაზე B2
ფოტოკონკურსი B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
კვირა, 15 დეკემბერი, 2002 წელი. №196
ფასი 50 თეთრი

## პიტერ შოუმ ბრიტანეთში ახალი შოუ მოაწყო

ბრიტანეთში გმირის სახელით დაბრუნებული, საქართველოში მოღვაწე ყველაზე სკანდალური უცხოელი - პიტერ შოუ, ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ, ქართველ სამართალდამცველებს ახალ-ახალ სკანდალებს სთავაზობს.

საქართველოდან ჰაიჰარად გაფრენილი დაზარალებული, ინგლისში გაკეთებული განცხადებებით, ისედაც ბურუსით მოცულ საქმეს, კიდევ უფრო აბუნდოვანებს. არადა, დაპირებას ვერც ქართველი სამართალდამცველები ასრულებენ. მიუხედავად დიდი მონდომებისა, როგორც თავად აღნიშნავენ, ბრიტანელი ბიზნესმენის გატაცებაში ეჭვმიტანილი ჯერჯერობით ვერ დაუკავებიათ.

გატაცების საქმის გახსნით დიდად რომ არც თავად პიტერ შოუ და არც ქართველი სამართალდამცველები არიან დაინტერესებულნი, საგამოძიებო ჯგუფის ბრიტანეთში ვიზიტის დროსაც დადასტურდა.

ჯერ ერთი - დღის წესრიგში თავიდანვე არ ყოფილა საგამოძიებო ჯგუფის უფროსის ინგლისში წასვლა. არადა, გატაცების საქმის ყველა მასალა სწორედ მის ხელშია. პროკურატურიდან საგამოძიებო მისიის შესრულება თავად საგამოძიებო ნაწილის უფროსმა კაკო ბუდაღაშვილმა იკისრა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ბუდაღაშვილმა, დაზარალებული უცხოელის დაკითხვას, საპროკურორო გამოცდების წარმატებით ჩაბარება არჩია.

შოუს დასაკითხად ჩასულ უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელს პაატა ბატიაშვილს და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს ზაზა ფერაძეს, რომლებიც წინასწარ ჩამოწერილი კითხვებით იყვნენ შეიარაღებულნი, შოუმ ულტიმატუმები იქით წაუყენა. მართალია, კანონმდებლობით დელეგაციის წევრებს დაზარალებულის დაკითხვის უფლება არც ჰქონდათ, მაგრამ შოუ მისთვის მიუღებელ კითხვებზე პასუხის გაცემას, როგორც ჩანს, ისედაც არ აპირებდა. როგორც ბრიტანეთიდან დაბრუნებულმა პაატა ბატიაშვილმა აღნიშნა, შოუ განსაკუთრებით გაულიზიანებია

გაგრძელება A2 გვერდზე

## შარიფოვის გამტაცებლებს დღეს აღმკვეთ ღონისძიებას შეუფარდებენ

თამარ კაციტაძე

**"სადი შარიფოვის გატაცების საქმე გახსნილია,"** – თქვა გუშინ სახელდახელოდ გამართულ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრმა. მართალია, ქართველი სამართალდამცველების წინასწარმეტყველება არ გამართლდა, "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის მამა და მისი გამტაცებლები მათ ვერც გატაცებიდან მეორე და ვერც მესამე დღეს იპოვეს, სამაგიეროდ, გუშინ, როდესაც სადი შარიფოვი უკვე დასაფლავებული იყო, კობა ნარჩემაშვილმა ორდღიანი საიდუმლო გაამხილა: **"დაკავებულია შარიფოვის სამი გამტაცებელი, ორმა უკვე აღიარა ჩადენილი დანაშაული"**. ამით მინისტრმა ორკვირიან დრამას წერტილი დაუსვა.

შარიფოვის გატაცების პოლიტიზირება, ეროვნულ შუღლთან და ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირება, თავის დროზე, სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებისგან წამოვიდა, გუშინ კი მინისტრს ყველაფრის უარყოფა მოუხდა.

**"შარიფოვი პოლიტიკური ნიშნით არ გაუტაციათ. როგორც თავად გამტაცებლები ამბობენ, იგი სოფლიდან გასვლის მიზნით წაიყვანეს და მისი მოკვლის განზრახვა არ ჰქონიათ. მოხუცი სოფლიდან გასვლისთანავე გულის შეტევით გარდაიცვალა. გარდაცვლილი რამდენიმე დღის განმავლობაში ერთ-ერთ ოჯახში ჰყავდათ, ბოლოს კი ბოლნისის**

გაგრძელება A2 გვერდზე



ბესო გულაშვილის ფოტო

კობა ნარჩემაშვილმა გამტაცებლები არ დაასახელა.

## ქართული ბიუროკრატია მსოფლიო ბანკს პრობლემებს უქმნის

ბვანცა კვინიკაძე

*საქართველოს უმსხვილეს დონორ ორგანიზაციასთან - მსოფლიო ბანკთან, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეექმნას. ამის საფუძველს ქმნის ის ფაქტი, რომ მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული მუნიციპალური განვითარების პროგრამის რატიფიცირება პარლამენტმა რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ მოახერხა. გარდა ამისა, ქართული მხარე ვერ უზრუნველყოფს მსოფლიო ბანკის პროექტების თანადაფინანსების წილის დაფარვას, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს პროექტების მიმდინარეობას. გუშინ საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უცხოური ინვესტიციების (საინვესტიციო) საკონსულტაციო საბჭოს მორიგ სხდომაზე აღნიშნული საკითხების განხილვას პრეზიდენტის მკაცრი რეაქცია მოჰყვა. იგი არ გამორიცხავს, რომ, მსოფლიო ბანკთან შექმნილი პრობლემების გამო, უშუალოდ პასუხისმგებელმა პირებმა თანამდებობებიც კი დაჰკარგონ.*

ამ პასუხისმგებლობას კი რამდენიმე - ფინანსთა, იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები ერთმანეთს აკისრებენ. მაგრამ ფაქტი სახეზეა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ, მუნიციპალური განვითარების პროექტის წარმატებულობის გამო, აგვისტოში მისი გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, სარატიფიკაციოდ ეს პროექტი პარლამენტში ჯერაც არ შესულა. პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკი, კრედიტის სახით, 19,4 მილიონ დოლარს გამოყოფს, რაც 2003-2006 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ოცამდე ორგანოში ინვესტიციებისა და ტექნიკური დახმარების განხორციელებას უნდა მოხმარდეს. გარდა ამისა, თბილისის მერის ვანო ზოდელავას განცხადებით, ამ პროექტზეა დამოკიდებული მიწისძვრით

გაგრძელება A4 გვერდზე

## ეუთოს წარმომადგენლები საქართველოს მოქალაქის უფლებებს არღვევენ

თამარ კაციტაძე

**"ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ყარაბაღის ოფისი შეურაცხყოფს ქართულ მართლმსაჯულებას,"** – ასეთი მკაცრი შეფასება გააკეთეს არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლებმა.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" აღმასრულებელმა დირექტორმა ლია მუხაშავრიამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა და ეუთო-ს ყარაბაღის ოფისის ყოფილი თანამშრომლის, მარინა ქოქაშვილის საქმე გააცნო საზოგადოებას.

მარინა ქოქაშვილი ეუთოს ყარაბაღის ოფისში თარჯიმნად თითქმის ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა. 2001 წლის ივნისში კი იგი 16 კვირით (ეს ვადა ეუთოს წესდებითაა გათვალისწინებული( დეკრეტულ შვებულებაში გავიდა. სწორედ შვებულების პერიოდში, 22 სექტემბერს ქოქაშვილმა სამსახურიდან შეტყობინების ფურცელი მიიღო, სადაც აღნიშნული გახლდათ, რომ თარჯიმანს სამუშაო კონტრაქტის ვადა 22 ოქტომბერს ეწურება. არადა, მარინა ქოქაშვილი, მისი თქმით, დარწმუნებული იყო, რომ ოფისის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში სამსახურში პრობლემები არ შეექმნებოდა, რადგან ეუთო-სთან უვადო სამუშაო კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ფინანსთა სამინისტრომ 2003 წლის ბიუჯეტი უკან გაითხოვა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პარლამენტიდან გააქვს კანონპროექტი 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. ამის თაობაზე პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა.

მისი თქმით, ბიუჯეტის პროექტი გააქვთ დამუშავებისა და მასში სტრუქტურული და აზრობრივი ცვლილებების შესატანად, რაც გამოწვეულია გასულ კვირას პარლამენტის მიერ მიღებული კანონით ერთიანი საპენსიო ფონდის და სადაზღვევო სამედიცინო კომპანიის ბაზაზე საპენსიო უზრუნველყოფის და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შექმნის შესახებ. გარდა ამისა, განხილვის დროს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შემოთავაზებულ იქნა მთელი რიგი სერიოზული ცვლილებები, საბიუჯეტო პარამეტრების გაზრდასთან დაკავშირებით. კერძოდ, ეს ეხება თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის გაზრდას, ომის ვეტერანებისა და დაღუპულთა ოჯახებისათვის ელექტროენერგიაზე შეღავათების დაწესებას, სამედიცინო სადაზღვევო კომპანიის ბიუჯეტის გადანაწილებას; ევროკავშირის ფინანსური დახმარების ხარჯზე 14 მილიონით გაიზრდება გრანტების გრაფა. 20 მილიონით გაიზრდება საგადასახადო შემოსავლები, საიდანაც 11 მილიონი საგზაო ფონდის ანგარიშზე მოდის, დანარჩენი კი საბაჟო დეპარტამენტის ანგარიშზე.

**"კავკას-პრესი"**

## მიხეილ სააკაშვილი: საკრებულოს და მერიას შორის ომი გაჩაღდება

ვერიკო თევზაძე

*"მას შემდეგ, რაც ორი სამსახური (ჯანდაცვის და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურები) არ დავამტკიცეთ, დანარჩენების ფანჯრიდან გაპარება მოინდომეს", - გუშინდელ პრესკონფერენციაზე საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა გააკრიტიკა თბილისის მერის, ვანო ზოდელავას განკარგულება, რომლის საფუძველზეც სამი სამსახური – კეთილმოწყობის, კაპიტალური მშენებლობისა და ტრანსპორტის - ქალაქის მთავრობის შემადგენლობაში არ შევა და საკრებულო მათ მიმართ კონტროლს ვერ განახორციელებს. "ეს ის სამსახურებია, სადაც ყველაზე მეტი ფული კეთდება, ანუ მერი და პრეზიდენტი კორუმპირებულ ჩინოვნიკებს მფარველობენ, ამ სამსახურებში ისინი ძველ ხალხს დატოვებენ. ეს იმის მაუწყებელია, რომ საკრებულოსა და მერიას შორის ომი გაჩაღდება," - ასკვნის საკრებულოს თავმჯდომარე.*

მიხეილ სააკაშვილი იმუქრება, რომ მთავრობის შემადგენლობიდან გაყვანილ სამსახურებს არ დააფინანსებს. თანაც, თუ საკრებულომ მოინდომა, ამ სამსახურებს მაინც გააკონტროლებს. **"ჩვენ გვყავს სარევიზიო კომისია, ის შეძლებს კონტროლის განხორციელებას."**

მიხეილ სააკაშვილმა მკვეთრად უარყოფითად შეაფასა შევარდნაძის განცხადება "თბილგაზის" ქალაქისთვის დაბრუნების თაობაზე. **"შევარდნაძეს იუმორის გრძნობა ღალატობს: ორი კვირის წინ გვამცნო, რომ "თბილგაზს" სათბობენერგეტიკის სამინისტროს გადასცემდა; ახლა გადაიფიქრა; ამას ოხუნჯობასაც ვერ დავარქმევ.**

გაგრძელება A2 გვერდზე

### მკითხველთა საყურადღებოდ!

**ტექნიკური მიზეზების გამო, ჩვენი გაზეთის შაბათის ნომერი გამოვიდა შემცირებული ტირაჟით, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით და ვაცნობებთ, რომ შაბათის ნომრის ჩანართები და დამატება ჩაიდება ორშაბათის გაზეთში.**

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 2 |
| ქუთაისი | 7 |
| ბათუმი | 9 |
| სოხუმი | 5 |
| ფოთი | 8 |
| თელავი | 1 |
| ზუგდიდი | 7 |
| გორი | -1 |
| ახმეტა | 0 |
| ჭიათურა | 3 |
| გაგრა | 4 |
| სამტრედია | 7 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1600 |
| ევრო | 2.2103 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4206 |
| რუბლი | 0.0678 |

## კეთილი ქისა, რომელმაც 60 ათასი საშობაო საჩუქარი დაიტია

*ამ დღეებში, დიდ ბრიტანეთში ბავშვები თავიანთი ქართველი თანატოლებისთვის საშობაო საჩუქრების შეგროვებით იყვნენ დაკავებულები. თოჯინებს, ფლომასტერებს, ფერად ფანქრებს, საბავშო წიგნებს, გასაფერადებელ ალბომებს, ასაწყობ კონსტრუქტორებს, ტკბილეულობას და სხვა გემრიელ თუ ლამაზ ნივთებს ბრიტანელმა პატარებმა თავი ორ კვირაში მოუყარეს. მერე ეს ყველაფერი ერთ დიდ, სამარიტელთა ქისაში მოათავსეს და ქართველ ბავშვებს გამოუგზავნეს.*

ეთერ მამულაშვილი

დღეს საღამოს თბილისელი ბავშვების ერთ ნაწილს ოცნება ოპერისა და ბალეტის თეატრში, მათთვის განკუთვნილი კონცერტის შემდეგ აუსრულდება. ინგლისელი თანატოლების მიერ გამოგზავნილ საჩუქრებს ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია - "სამარიტანელთა ქისა" გაანაწილებს. საშობაო ტვირთი, რომლის საერთო ღირებულება ორ მილიონ ამერიკულ დოლარს აღემატება, "სამარიტანელთა ქისის" პრეზიდენტმა დევიდ კუკმა გუშინ ჩამოიტანა. თბილისის შემდეგ ბრიტანელი ქველმოქმედები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ბავშვებს მოინახულებენ და საჩუქრებს მათაც გადასცემენ. როგორც დევიდ კუკმა გვითხრა, საშობაო საჩუქარი სამოცი

გაგრძელება A4 გვერდზე



თბილისის აეროპორტი - თვითმფრინავი "სამარიტელთა ქისით".

A2 პოლიტიკა A3 რეკლამა A4 პოლიტიკა
B1 სპორტი B2 კულტურა B3 განცხადებები B4 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა და გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პრობლემები განიხილეს. პრეზიდენტთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჰაიდი ტალიავინიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან პრეზიდენტს აცნობა გაერო-ს უშიშროების საბჭოს დახურული სხდომის შედეგების შესახებ, რომელიც დეკემბრის დასაწყისში გაიმართა. მისი თქმით, "ბოდენის დოკუმენტს" მხარს უჭერს გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისში ჩამოვიდა ესტონეთის თავდაცვის სამინისტროს რვაკაციანი დელეგაცია. ესტონეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაციას ესტონეთის სახელმწიფო მდივანი ინდრეკ კანნიკი უხელმძღვანელებს. 16 დეკემბერს დელეგაცია დაესწრება თავდაცვის სამხედრო აკადემიაში ინტერნეტ-კლასის გახსნას, რაც მისი დახმარებით მოხდა. ინტერნეტ-კლასში დამონტაჟდება 11 კომპიუტერი.

გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები შეხვდებიან საქართველოს თავდაცვის მინისტრ დავით თევზაძეს და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს ჯონი ფირცხალაიშვილს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა თავის ფონდიდან 15 000 ლარი გამოყო აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების დასვენების უზრუნველსაყოფად. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში აცხადებენ, ეს თანხა გადაირიცხება აფხაზეთის დევნილი განათლების სამინისტროს ანგარიშზე.

ამ თანხებით ორგანიზებული იქნება დევნილი ბავშვების დასვენება ზამთრის პერიოდში. სამინისტრო აპირებს ბავშვები ზამთრის კურორტზე ბაკურიანში დაასვენოს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "21-ე საუკუნე" აფხაზეთიდან დევნილებისთვის შემწეობების დოლარის კურსის ცვლილების შესაბამისად გაცემას ითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "XXI საუკუნე" პარლამენტში ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს მხარს არ დაუჭერს. ფრაქციამ პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა და ქვეყნის საგანგებო ეკონომიკურ რეჟიმში გადაყვანა მოითხოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "წვრთნისა და აღჭურვის" 64 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროგრამის ფარგლებში მოსამზადებელ 4 ბატალიონიდან, პირველი, ქართული "კომანდოსის" ბატალიონის გამოშვების საზეიმო ცერემონიალი, დღეს, თბილისში რესპუბლიკის მოედანზე გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს მომავალ კვირას, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს სახელისუფლო ფრაქციების 60-მდე დეპუტატის ხელმოწერილი დოკუმენტი წარედგინება პარლამენტის ერთი ვიცე-სპიკერის პოსტის დათმობის მოთხოვნით.

ვალერი ხაზარაძის თქმით, სახელისუფლო ფრაქციებს, როგორც 7 პროცენტიან ბარიერ გადალახულ დეპუტაციას, ერთი-ვიცე სპიკერის პოსტი ეკუთვნით, რომელიც, ამჟამად, ფრაქცია "დემოკრატების" წევრს გიგი წერეთელს უკავია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, "სოციალისტური პარტიის" ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა პრეზიდენტის მიერ გუშინ მინიჭებული ახალი სტატუსით პირველი შეხვედრა გუშინ გორში გამართა. ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებაში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლი შიდა ქართლის ხელისუფლებას და დევნილებს შეხვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა მოლაპარაკებები გამართა ყაზახეთისა და უზბეკეთის ხელისუფლებებთან, რომლებთანაც საქართველოს ვალის რესტრუქტურიზაციაზე შეთანხმდა. ამის შესახებ "კავკას-პრესს" აცნობა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა.

საქართველოს ყაზახეთის 27 მილიონი დოლარი მართებს, უზბეკეთის კი - 1 მილიონი დოლარი.

ამჟამად გოგიაშვილი ანალოგიურ პრობლემას ანკარაში წყვეტს, სადაც საუბარი ეხება თურქეთის მიმართ საქართველოს 50-მილიონიანი ვალის რესტრუქტურიზაციას. ხვალ კი იგი ირანში მიემგზავრება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ერევანი.** 2002 წლის შედეგების მიხედვით, სომხეთის ეკონომიკაში მოსალოდნელია ინვესტიციების მოცულობის ზრდა 50 მილიონი დოლარით, ხოლო რესპუბლიკაში ტურისტთა რაოდენობის ზრდა, დაახლოებით, 30 ათასით. ამის შესახებ განაცხადა რესპუბლიკის ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კარენ ჩშმარიტიანმა.

2002 წლის იანვარ-სექტემბერში სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკაში მობილიზებულია 112 მილიონი დოლარის ინვესტიციები, რომელთა შორის პირდაპირმა ინვესტიციებმა 71 მილიონი დოლარი შეადგინა. იმავე პერიოდში რესპუბლიკაში 100 ათასზე მეტი ტურისტი ჩავიდა. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ, მიმდინარე წლის შედეგების მიხედვით, ახლადშექმნილი და აღდგენილი სამუშაო ადგილების რაოდენობამ 25-30 ათასი შეადგინა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ნიუ-იორკი.** სირია ერთადერთი არაბული ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, კენიაში მომხდარი ტერაქტების დაგმობის შესახებ, მხარი არ დაუჭირა. სირიის ელჩმა გაეროში მიხაილ ვეჰბემ განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია, ისრაელის სახელმწიფო განიხილონ მსხვერპლად იმ დროს, როცა ამ ქვეყნის არმია თავს ესხმის მშვიდობიან პალესტინელებს. აღსანიშნავია, რომ მანამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს წევრებმა ერთხმად დაგმეს მოსკოვსა და კუნძულ ბალიზე განხორციელებული ტერაქტები.

რეზოლუციაში, რომლის წინააღმდეგაც სირიის წარმომადგენელმა მისცა ხმა, ლაპარაკია ტერაქტის შედეგად დაღუპულ ებრაელთა და კენიელთა ოჯახებისათვის სამძიმრის გამოხატვაზე.

სავაჭრო ცენტრი "კიდობანი"
სიურპრიზებს გვიმზადებს!
20 დეკემბერს გაიმართება დიდი შოუ-ჩვენება - საუკეთესო მოდელები წარმოადგენენ "კიდობანის" კოლექციას.
შეიძინეთ "კიდობანში."
20 დეკემბრიდან სავაჭრო ცენტრში დაიწყება საახალწლო 50%-იანი ფასდაკლება - ორი კვირის მანძილზე ივაჭრეთ ნახევარ ფასში!
მოიხმარეთ მშვიდობაში!!!
მისამართი: ცაბაძის 2 (დინამოს სტადიონთან).

## პოლიტიკა

# მიხეილ სააკაშვილი: საკრებულოს და მერიას შორის ომი გაჩაღდება

პირველი გვერდიდან

**ეს არის საბოტაჟი ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. შევარდნაძე დაკავებულია იმით, რომ საკრებულო ჩაძიროს. გამოდის, რომ ის თანხა, რომელიც კომუნალური პრობლემების მოსაგვარებლადაა საჭირო, "თბილგაზს" უნდა მოხმარდეს".**

საკრებულოს თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტს ურჩევს, კრიმინალების მომსახურებაზე უარი თქვას. ყოფილი "მხედრიონელის" გიგა გელაშვილის მოსალოდნელი დაწინაურება სააკაშვილს სერიოზულ ეჭვებს აღუძრავს ხელისუფლების საბოლოო კრიმინალიზაციის შესახებ: **"ამით სამუდამოდ დაიმსხვრევა შევარდნაძის ავტორიტეტი. საქართველოს პრეზიდენტს არ შეიძლება, კრიმინალის რეპუტაცია ჰქონდეს... მე მგონი, დროა, ჯაბა იოსელიანი მიიწვიოს**



"ეს არის საბოტაჟი ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან".

**კანცელარიაში და სახელმწიფო მინისტრად დანიშნოს. ამით წრედი შეიკვრება."**

მიხეილ სააკაშვილი ვახტანგ რჩეულიშვილის დანიშვნას საქართველოს პრეზიდენტის პირად წარმომადგენლად ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხებში ქილიკით ხვდება: **"რჩეულიშვილი გამორჩეულად არაკონფლიქტური, საოცრად ტაქტიანი პიროვნებაა. მას შეუძლია, კონფლიქტი "ბორჯომის" წყლით ჩააქროს. როგორც ჩანს, ყველაფერი ეს გაითვალისწინა საქართველოს პრეზიდენტმა და ამიტომაც დანიშნა კონფლიქტის მომწესრიგებლად."**

საკრებულოს თავმჯდომარე წინასწარ არის დარწმუნებული, რომ თანამდებობის იმ პირებს, რომლებიც დედაქალაქის მთავრობის ახალ შემადგენლობაში ვერ ვიხილეთ, შევარდნაძე აუცილებლად დააწინაურებს.

# "სოციალისტები" კვლავ საკრებულოს წინააღმდეგ

ჯერჯერობით კვლავაც გაურკვეველია, როდის განიხილავს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატა "სოციალისტების" სარჩელს, რომლითაც პარტია ცესკო-ს მიერ დამტკიცებულ თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გაუქმებას ითხოვს.

გასულ სამშაბათს "სოციალისტებმა" სარჩელი ჯერ თბილისის საოლქო სასამართლოში შეიტანეს, ხოლო უკვე ოთხშაბათს მათი სასარჩელო განცხადება საოლქომ უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა.

კანონის თანახმად, ნებისმიერი სარჩელი, რომელიც არჩევნებს ეხება, სასამართლომ სამი დღის ვადაში უნდა განიხილოს (ოღონდ ეს მოთხოვნა არ ეხება უქმე დღეებს). შესაბამისად, უკვე ორშაბათს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ სარჩელის განხილვა უნდა დაიწყოს.

თუმცა როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის "სოციალისტი" წევრი დენის დავითაშვილი ვარაუდობს, არ არის გამორიცხული, პროცესი გადაიდოს. დენის დავითაშვილის განცხადებით, **"ამის მიზეზი შეიძლება ადმინისტრაციული პალატის თავმჯდომარის თბილისში არყოფნა გახდეს, რომლის გარეშეც პალატის წევრებს არ სურთ სხდომის დანიშვნა".**

ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო თავის ვერდიქტს მომავალ კვირას აუცილებლად გამოიტანს. "სოციალისტები" იმედოვნებენ, რომ პროცესი მათი გამარჯვებით დასრულდება, რაშიც ეჭვი ეპარებათ არჩევნებში გამარჯვებულ პარტიებს. მეტიც, "ნაციონალები" "სოციალისტების" გარჯას თბილისის საკრებულოს დაშლის **"არასერიოზულ მცდელობას"** უწოდებენ. ამავე მოსაზრებას იზიარებენ "გაერთიანებული დემოკრატები" და "ახალი მემარჯვენეები".

*24 საათი*

## სამართალი

# ეუთოს წარმომადგენლები საქართველოს მოქალაქის უფლებებს არღვევენ

პირველი გვერდიდან

საკუთარი უფლებების დასაცავად მარინა ქოქაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლს" მიმართა. ამ უკანასკნელმა კი სასარჩელო განცხადება ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში შეიტანა და ქოქაშვილის სამსახურში აღდგენა და ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

მუხაშავრიას განცხადებით, ეუთოს ყარაბაღის ოფისის წარმომადგენლები სასამართლოში არც მისულან და მოსამართლისთვის წერილობით უცნობებიათ – თქვენი კანონმდებლობა ჩვენ არ გვეხება და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართეთო.

ერთი სიტყვით, საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნით, საქმეში ერთ-ერთ მხარედ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც ჩაერთო, მაგრამ სასამართლოს მოწვევა სავალდებულოდ არც მათ ჩათვალეს და ორჯერ დანიშნულ სასამართლო პროცესზე წარმომადგენელიც კი არ გაგზავნეს. ამის გამო, მოსამართლე ზვიადაძემ მხარეთა დაუსწრებლად მარინა ქოქაშვილის სამსახურში აღდგენის გადაწყვეტილება გამოიტანა.

სასამართლოს გადაწყვეტილება მიუღებელი აღმოჩნდა ეუთოს ყარაბაღის ოფისისთვის – ვენის კონვენციით იმუნიტეტით ვსარგებლობთ და საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილება ჩვენზე არ ვრცელდებაო - კიდევ ერთხელ დაიცვა თავი საერთაშორისო ორგანიზაციამ და ქოქაშვილი სამსახურში არ აღადგინა.



"ეუთო ვენის კონვენციას თავის სასარგებლოდ კითხულობს".

თავის მხრივ, ეუთო-ს მხარე დაიჭირა საგარეო საქმეთა სამინისტრომაც. **"შექმნილ ვითარებაში, ვითვალისწინებთ ეუთო-ს ავტორიტეტსა და საქართველოსთვის ამ ორგანიზაციის უდიდეს მნიშვნელობას. ამიტომ, გთხოვთ, საკითხის საბოლოო გარკვევამდე, დაავალოთ თბილისის სააღსრულებო ბიუროს, შეაჩეროს სააღსრულებო მოქმედება",** – ამგვარი შინაარსის წერილი გაუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ შოთა დოლონაძემ იუსტიციის მინისტრს როლანდ გილიგაშვილს.

**"ეუთო ვენის კონვენციას თავის სასარგებლოდ კითხულობს. მართალია, ვენის კონვენციით საერთაშორისო ორგანიზაციები სხვა ქვეყნებში იმუნიტეტით სარგებლობენ, მაგრამ კონვენციის 23-ე მუხლში ისიც არის მითითებული, რომ იმუნიტეტი სოციალურ ურთიერთობებზე არ ვრცელდება. აქედან გამომდინარე, ქოქაშვილი დაუყოვნებლივ უნდა დაებრუნებინათ სამსახურში. თუმცა, ფაქტია, როდესაც უცხოელები ხედავენ, რომ საკუთარი მოქალაქის უფლებას მისივე ქვეყნის მოხელეები ლახავენ, ისინიც ადვილად ბედავენ ქართველთა შეურაცხყოფას",** – აღნიშნა ლია მუხაშავრიამ.

რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მხრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების შეჩერების მოთხოვნას, ქოქაშვილის ინტერესების დამცველთა შეფასებით, შოთა დოლონაძემ გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და იგი კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯოს. ამ მოთხოვნით "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლებს პარლამენტისთვის, გენერალური პროკურატურისთვის, კანცელარიისაა და სხვათათვის უკვე მიუმართავთ, მაგრამ მინისტრის მოადგილის მხრიდან კანონის დარღვევის ფაქტს არანაირი გამოხმაურება და შეფასება არ მოჰყოლია.

**"აფრიკის ბევრი ქვეყანა ჩვენზე განუვითარებელია, მაგრამ იქაური მოქალაქის უფლებების დარღვევა არც ერთ უცხოელს არ მოუვა აზრად, რადგან მათ ძლიერი საკანონმდებლო ბაზა აქვთ და იქ, საქართველოსგან განსხვავებით, კანონის დაცვა ყველასთვის სავალდებულოა",** – აღნიშნა პრესკონფერენციის დასასრულს ლია მუხაშავრიამ.

# შარიფოვის გამტაცებლებს დღეს აღმკვეთ ღონისძიებას შეუფარდებენ

პირველი გვერდიდან

**გზაზე დააგდეს,"** – თქვა კობა ნარჩემაშვილმა, მაგრამ სამინისტროს მხრიდან ბოლომდე უკან დახევა, ეტყობა, მინისტრისთვის არც ისე სასიამოვნო აღმოჩნდა. **"არ უარვყოფთ იმას, რომ ქვემო ქართლში არიან გარკვეული ძალები, რომელთაც რეგიონში დესტაბილიზაციის შეტანა სურთ,"** – დასძინა მთავარმა პოლიციელმა.

მინისტრმა, თურმე, იცის ის ოჯახი, სადაც შარიფოვის გვამს მალავდნენ, იცის ის ტრანსპორტიც, რომლითაც მიცვალებული გადაიყვანეს და, რაც მთავარია, იცის გამტაცებლების გვარები და სახელები, მაგრამ მათი ვინაობა გუშინვე არ გაუმხელია. ნარჩემაშვილს, რატომღაც, მაინცდამაინც გუშინ გაახსენდა უდანაშაულობის პრეზუმფცია და შარიფოვის გატაცებაში ეჭვმიტანილები არ გამოააშკარავა. **"ვიდრე სასამართლო არ დაადასტურებს მათ ბრალეულობას, მანამდე მათ სახელებს ვერ ვიტყვით,"** – აღნიშნა მან და ქვემო ქართლში ისედაც სკანდალით ჩატარებულ სპეცოპერაციას კიდევ უფრო დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა. ბუნდოვანი იყო მინისტრის კიდევ ერთი განცხადება: **"შარიფოვის საქმეზე დაკავებულია კიდევ რამდენიმე პიროვნება, მაგრამ ჯერ მიმდინარეობს რიგი საგამოძიებო საქმიანობები, რის შემდეგაც ზუსტად შევძლებთ შარიფოვის საქმესთან მათ კავშირზე საუბარს".**

ერთი სიტყვით, შარიფოვის საქმის გამოძიება გრძელდება და, შესაძლოა, უახლოეს დღეებში დაკავებულთა წრე კიდევ უფრო გაიზარდოს.

შინაგან საქმეთა მინისტრისგან განსხვავებით, გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი კახა ნავაძე არ მალავს ეჭვმიტანილთა ვინაობას. ნავაძის განცხადებით, დღეს შარიფოვის გატაცებაში ეჭვმიტანილ ორ პიროვნებას - კახა ქურდიანსა და გეგი გურჩიანს ბრალს წარუდგენენ, რის შემდეგაც გამოძიება, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით, კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მიმართავს.

25 წლის კახა ქურდიანი სამართალდამცველებმა თბილისში დააკავეს, გურჩიანი კი - სოფელ ტანძიაში.

გუშინ კახა ქურდიანი სამართალდამცველებმა სოფელ ტანძიაში ჩაიყვანეს, სადაც ეჭვმიტანილმა გამომძიებლებს ის სახლი აჩვენა, სადაც თითქმის ათი დღის განმავლობაში დამნაშავეები მიცვალებულს მალავდნენ.

# პიტერ შოუმ ბრიტანეთში ახალი შოუ მოაწყო

პირველი გვერდიდან

იმ კითხვებს, რომლებიც მის საფინანსო საქმიანობას ეხება. არადა, უცხოელი ბიზნესმენის გატაცების ყველაზე საფუძვლიან არგუმენტს სწორედ საბანკო საქმიანობაში ეძებენ. შოუ პასუხს არც მისი ოჯახის წევრების დამნაშავეებთან კავშირზე იძლევა და ქართველ სამართალდამცველებს არც თითის ანაბეჭდების აღებაზე თანხმდება.

ერთი სიტყვით, მართალია, გამომძიებელი ირწმუნება, ორი დღის განმავლობაში ვხვდებოდით შოუს და მის გატაცებასთან დაკავშირებით ბევრი რამ გავიგეთო, მაგრამ დაზარალებულის გამოკითხვა რომ ბევრს ვერაფერს შესძენს გამოძიებას, ამას ვერც ბატიაშვილი და ვერც ფერაძე უარყოფენ.

სამაგიეროდ, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებმა გამოძიებასაც და ქართველ საზოგადოებასაც შოუს მიერ გამტაცებლებად დასახელებული "დამნაშავეების" სახელები ჩამოუტანა. ბრიტანელი ბანკირის მტკიცებით, მისი გატაცებით დაინტერესებული იყო სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე და ფირმა "უშბას" პრეზიდენტი გოჩა ფიფია.

შოუს ბრალდებას ორივე "ეჭვმიტანილი" ირონიით შეხვდა. სოფლის მეურნეობის მინისტრმა "აგრობიზნესბანკის" გენერალური დირექტორის ვერსია ფსიქოლოგიური სტრესით გაამართლა და ის კრიტიკა გაიხსენა, რასაც მინისტრი ბანკირის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოთქვამდა. გოჩა ფიფია კი "აგრობიზნესბანკთან" მოგებულ სასამართლო პროცესს იხსენებს. მოკლედ, შოუს გატაცების საქმეზე გამოძიებას ახალ დასაკითხთა სია შეემატა, თუმცა სამართალდამცველებმა დაზარალებულის ვერსიას, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აბსურდული უწოდეს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# იყავით ხაზზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები “ელიტელექტრონიქსისაგან”* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი;
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას;

- გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:
- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**

**მუშაობს ჯეოსელი ორ – 900 და 1800MHz სიხშირეზე?**




# ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: ბრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

უცხოეთი

# იაპონიამ რაკეტა წარმატებით გაუშვა

ახალი თაობის "H-2A" ტიპის რაკეტა, რომელზეც ოთხი თანამგზავრი არის განთავსებული, ტოკიოდან 1000 კმ-ით დაშორებული პატარა ტროპიკული კუნძულიდან წარმატებით გაფრინდა კოსმოსში. მასზე განთავსებული სატელიტებიდან ერთი ავსტრალიის კუთვნილებაა. გაშვებული რაკეტის სიგრძე 53 მეტრს შეადგენს.

**"რაკეტის წარმატებით გაშვება მიუთითებს იმაზე, რომ "H-2A" ტიპის რაკეტამ, შესაძლოა, მალე მსოფლიო მასშტაბის ნდობა დაიმსახუროს,"** - განაცხადა იაპონიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრმა აცუკო ტოიამამ.

უნდა ითქვას, რომ ეს იაპონიის მიერ ამ ტიპის რაკეტის წარმატებით გაშვების მეორე შემთხვევაა. პირველად "H-2A" ტიპის რაკეტა იაპონიამ 2001 წლის აგვისტოში გაუშვა, თუმცა მასზე კოსმოსური თანამგზავრები განთავსებული არ ყოფილა. მეორე მცდელობა, რომელიც კრახით დასრულდა, 2001 წლის თებერვალში შედგა. ამჯერად კი ყველაფერმა კარგად ჩაიარა.


REUTERS
"H-2A" ტიპის რაკეტა გაშვების მომენტში

ექსპერტების აზრით, კოსმოსური თანამგზავრებით აღჭურვილი რაკეტის გაშვება იაპონიის ისტორიაში უდავოდ ღირსშესანიშნავი მოვლენაა, რადგან იაპონიის კოსმოსური პროგრამა, წარუმატებლობის სერიების გამო, მუდმივ კრიტიკას განიცდიდა.

**"წარუმატებელი სერიების გარეშე, ამ რაკეტის წარმატებით გაშვება ვერ განხორციელდებოდა,"** - განაცხადა კოსმოსური განვითარების ეროვნული სააგენტოს პრეზიდენტმა შუიჩირო იამანუჩიმ.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამის შემდეგ იაპონიის კოსმოსური პროგრამების ღირებულება კოსმოსურ ბაზარზე მნიშვნელოვნად გაიზრდება.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ საფრანგეთის მიერ კოსმოსური თანამგზავრებით აღჭურვილმა რაკეტამ გაშვებისთანავე ავარია განიცადა და ატლანტის ოკეანეში ჩავარდა. ამ ავარიამ საფრანგეთის მთავრობა 600 მილიონი ამერიკული დოლარით დააზარალა.

# გაერთიანდება თუ არა ერაყის ოპოზიცია?

*ლონდონში ერაყის ოპოზიციის წარმომადგენელთა კონფერენცია იწყება. ამ მოვლენას უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ერაყის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანს უწოდებენ. სამასამდე ერაყელი დამოუკიდებელი პოლიტიკოსი და ერაყის ოცდაათი პარტიის წარმომადგენლები დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში უკვე ჩავიდნენ. მათ კონფერენციაზე სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ერაყის მომავალი განვითარების პერსპექტივები უნდა განიხილონ.*

ლევან ღირსიაშვილი

ოფიციალური ვაშინგტონი იმედოვნებს, რომ ერაყში შესაძლო სამხედრო კამპანიის დაწყების წინ, დღემდე დაქსაქსული ერაყის პოლიტიკური ძალები გაერთიანებასა და ერთიანი მიდგომების შემუშავებას შეძლებენ.

უნდა ითქვას, რომ ამის მიღწევა არც თუ ისე იოლ პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს. ერაყის ოპოზიციურ ჯგუფებს ძალზე ცოტა რამ თუ აქვთ საერთო. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მათი კულტურული და ეთნიკური ღირებულებები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. აღსანიშნავია, რომ, ეთნიკური და კულტურული ნიშნების გარდა, ერაყის ოპოზიციას ერთმანეთისგან კიდევ სხვა მრავალი ფაქტორი განასხვავებს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ამ ჯგუფების სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრება და მოღვაწეობა. გარდა ამისა, ყველა მათგანს თავიანთი მფარველები ჰყავთ, რომელთაც ერთამენთისგან რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური მიზნები ამოძრავებთ. ყველა მათგანს პოსტჰუსეინის ერაყის სამომავლო განვითარებაზე განსხვავებული ხედვები და წარმოდგენები აქვთ ჩამოყალიბებული.

თუმცა, ამჯერად ყველა მათგანი საერთო მტრის – სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ არის განწყობილი. შესაძლოა, სწორედ ჰუსეინი აღმოჩნდეს მტრის ის ხატი, რომელიც ერაყის ოპოზიციურ დაჯგუფებებს ერთმანეთისადმი შუღლს, თუნდაც დროებით, დაავიწყებს.

გარდა ამისა, უმთავრესმა პოლიტიკურმა პარტიებმა, როგორც ჩანს, უკვე გააცნობიერეს, რომ თუ ისინი ერთმანეთთან დიალოგსა და თანამშრომლობას ვერ ისწავლიან, მათი ოცნება სადამ ჰუსეინის დამხობისა და მთავრობაში მოსვლის თაობაზე, მხოლოდ და მხოლოდ ოცნებად დარჩება. დიალოგის ცოცხალ მაგალითად კი ოპოზიციური დაჯგუფებების ლიდერების - მარსუდ ბარზანისა და ჯალალ თალაბანის ლონდონში ჩასვლა და დიალოგის სურვილი შეიძლება იქცეს. ბარზანიც და თალაბანიც ერაყელი ქურთების ინტერესებს იცავენ, თუმცა ისინი სხვადასხვა დაჯგუფებების ლიდერები არიან და მათ შორის საკმაოდ მწვავე დაპირისპირებაც არსებობდა, რომელიც ხშირად სისხლისმღვრელ შეტაკებებში გადაიზრდებოდა ხოლმე.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ერაყელი ქურთების დაჯგუფებებისა და თავად ერაყის ნაციონალური კონგრესის ინტერესებს აშშ-ს ადმინისტრაცია იცავს და თავისი მიზნებისათვის აქტიურად იყენებს. დანარჩენ ერაყელ ოპოზიციურ დაჯგუფებებს კი ასევე სხვა საზღვარგარეთელი მოკავშირეები ჰყავთ. კერძოდ, შიიტურ ოპოზიციურ დაჯგუფებას – "ერაყის ისლამური რევოლუციის უმაღლეს საბჭოს" ირანის მმართველი წრეები თანაუგრძნობენ.

ამდენად, ლონდონის ერაყული კონფერენცია საკმაოდ დაძაბული და დრამატული მოვლენებით იქნება აღსავსე. ამ კონფერენციამ, საბოლოო ჯამში, მხოლოდ და მხოლოდ ერთ კითხვას უნდა გასცეს პასუხი: შეძლებს თუ არა ერაყი სადამ ჰუსეინის შემდეგ მშვიდობიან ცხოვრებას?

პარალელურად, სააგენტო "ბი-ბი-სის" ცნობით, ერაყის სამ უდიდეს ქალაქში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ გაძევებულ ოპოზიციურ დაჯგუფებებს ქვეყნის მმართველობას ვერ ანდობს. შეძლებს თუ არა ერაყის ოპოზიცია მოსახლეობაში ჯერჯერობით არარსებული ნდობის მოპოვებასა და შემდგომ განმტკიცებას, ლონდონის კონფერენციაზე გაირკვევა.

საზოგადოება

# კეთილი ქისა, რომელმაც 60 ათასი საშობაო საჩუქარი დაიტია

პირველი გვერდიდან

ათასამდე ბავშვს შეხვდება. თითოეული ნობათის ღირებულება 30 დოლარს აღემატება. "სამარიტანელთა ქისას" საშობაო საჩუქრების განაწილებაში საქართველოს "წითელი ჯვარი" დაეხმარება. იმის გამო, რომ ტვირთი არც თუ ისე ბევრია, გადაწყდა, საჩუქრებს, პირველ რიგში, ინვალიდი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვები მიიღებენ.

***"წარმოიდგინეთ, რომ ბებია თავისი საყვარელი შვილიშვილისთვის ქსოვს წინდას, რომელშიც საშობაო საჩუქრებს ალაგებს. ამაზე ხომ ყველა ბავშვი ერთნაირად ოცნებობს. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ მონაწილეობას ვიღებთ მათი ოცნების ახდენაში."*** - გვითხრა დევიდ კუკმა.

ლამაზად შეფუთულ სამოცი ათას საშობაო ამანათში მცირე ბარათებიც დევს, რომლის ავტორები ბრიტანელი ბავშვები არიან.

***"გამარჯობა! მე კატრინი მქვია. ვცხოვრობ ლონდონში და 12 წლის ვარ. მინდა, დამდეგი შობა-ახალი წელი მოგილოცო და სურვილების ასრულება გისურვო. გთხოვ, მომწერო შენს შესახებაც. გკოცნი ბევრს."***


ვახო ხაიდრავა, ფოტო
მამა მიქაელი და დევიდ კუკი.

ასეთია ამ წერილების შინაარსი, რომელსაც ქართველი ბავშვები წაიკითხავენ. ალბათ, ჩვენი პატარები თავიანთ ინგლისელ თანატოლებს გამოეხმაურებიან და მიღებული საჩუქრით გამოწვეულ სიხარულს გაუზიარებენ.

ფოსტა

*ჩვენი გაზეთის 29 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ გივი თარგამაძესთან. სხვა საკითხებთან ერთად,იგი შეეხო მამა-შვილ დონაძეებთან მომხდარ ინციდენტსაც. ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, ნოდარ დონაძემ გვთხოვა, საშუალება მიგვეცა, ჩვენს გაზეთში თავისი მოსაზრება გამოეთქვა.*

# პასუხად გივი თარგამაძეს

ბ-ნო გივი, თქვენ, ა.წ. 29 ნოემბრის გაზეთ "24 საათში" და 28 ნოემბრის "კურიერში" ბრძანეთ, რომ წინასაარჩევნოდ ჩემს გამოჩენას ელოდით. მით უმეტეს, რომ 2 ნოემბერს "ინტერპრესის" საშუალებით, გაავრცელეთ ცრუ ინფორმაცია: თითქოს, შენს წინაშე დანაშაული არ დამიმტკიცდა, საქმე კი ჩემს წინააღმდეგ აღიძრა. სწორედ ამიტომ მელოდი, იცოდი, რომ ამ სიცრუეს პასუხი გაეცემოდა. ამიტომაც ვეცადე, პრესკონფერენციაზე მაქსიმალურად წარმომეჩინა შენი ნამდვილი სახე; მეთქვა საზოგადოებისთვის სრული სიმართლე და ჭეშმარიტება.

ბ-ნო გივი, თითქმის ყოველ ინტერვიუში მლანძღავ და შეურაცხყოფას მაყენებ. ჯერ იყო და ვითომ, დაზარალებულის მამად ვასაღებდი თავს; შემდეგ პოლიციელი გამხადე, ხოლო ბოლოს უსინდისოც კი მიწოდე. ასე ცდილობ საზოგადოების წინაშე უპატიოსნო ადამიანად წარმომაჩინო. მე ვიბრძვი ჩემი სიმართლისა და ჭეშმარიტების დასადგენად. შენ კი ყოველ ღონეს ხმარობ, რომ პარლამენტის დეპუტატის იმუნიტეტი მიიღო და ამით თავი აარიდო მართლმსაჯულებას.

ჩვენს ქვეყანაში, რომ ნორმალური კანონები იყოს, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული, რომელსაც წაყენებული მუხლის მიხედვით 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ეკუთვნის - არ უნდა დაემტკიცებინათ პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად. ინტერვიუში ამბობ, რომ მე პოლიციელი ვარ – ეს სრული სიცრუეა, ასევე სიცრუეა, თითქოს შენ ჩემს წინაშე დანაშაული არ დაგიმტკიცდა, მაშინ როცა სასამართლო ჯერ არ შემდგარა. ერთმა სასამართლომ უკვე მოგისაჯა აღმკვეთი ღონისძიება "ქალაქიდან გაუსვლელობაზე".

ინტერვიუს ბოლოს მამშვიდებ, თითქოს მე, ამ პრესკონფერენციის სანაცვლოდ, ისინს ბაზრობის პატარა წილში ჩამსვეს (შენს პირს შაქარი, თუ ასე მოხდა, იმ პატარა წილიდან, ერთ პატარა წილს შენც გიწილადებ) და ამაყად აცხადებ, რომ ერთი ქართული ოჯახი ფეხზე დააყენე. რა მჭირდა შენი ფეხზე დასაყენებელი - ფეხზეც ვიდექი და ოჯახიც წყნარი მქონდა, მაგრამ შენი საქციელის გამო, ჩემმა ოჯახმა სიმშვიდე დაკარგა.

მე გეთანხმები, რომ ჩხუბში შეიძლება ვინმეს ტუჩი გაუსკდეს, მაგრამ ეს მხოლოდ კაცურ ჩხუბში და არა ბარბაროსულ თავდასხმაში.

ბატონო გივი, აგრესიითა და ადამიანის დათრგუნვით ხელისუფლებაში ვერ მოხვალ. დროა დაფიქრდე და სიმართლეს გაუსწორო თვალი.

*ნოდარ დონაძე*

ეკონომიკა

# ქართული ბიუროკრატია მსოფლიო ბანკს პრობლემებს უქმნის

პირველი გვერდიდან

დაზარალებული მოსახლეობისთვის გარკვეული სამუშაოების შესრულების დაწყებაც.

როგორც საინვესტიციო საბჭოს სხდომაზე გაირკვა, მსგავსი სიტუაცია მსოფლიო ბანკისთვის უცხო არ არის. საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლის ტევფიკ იაპრაკის განცხადებით, ეს ფინანსური ორგანიზაცია საკმაოდ ხშირად აწყდება ბიუროკრატიულ ბარიერებს, რაც პროექტების განხორციელებისთვის სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის. თუმცა, ბიუროკრატია ერთადერთ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა ისაა, რომ ქართული მხარე მსოფლიო ბანკის პროექტების თანადაფინანსებას ვერ უზრუნველყოფს. ამ მიზეზით, იაპრაკის ინფორმაციით, საქართველოში მსოფლიო ბანკის პროექტები მარტიდან არის შეჩერებული. სულ, 2002 წლის ბიუჯეტში, ქართული მხარის თანადაფინანსების სახით, ოთხი მილიონი დოლარის ეკვივალენტი თანხა (დაახლოებით, ცხრა მილიონი ლარი) იყო გათვალისწინებული, ნაცვლად აუცილებელი 31 მილიონი ლარისა. თუმცა, ქართულმა მხარემ, ვერც ცხრა მილიონის მობილიზება მოახერხა.

იაპრაკი შიშობს, რომ იგივე ბედი ელის მსოფლიო ბანკის პროექტებს 2003 წლისთვისაც, რადგან ბიუჯეტის პროექტში, აუცილებელი 36-ის ნაცვლად, მხოლოდ 14 მილიონი ლარია გათვალისწინებული. გარდა იმისა, რომ თანადაფინანსების მუხლის არშესრულება მსოფლიო ბანკის გულისწყრომას იწვევს, ეს ქმედება ქართულ მხარეს, შესაძლოა, სხვა მიზეზის გამოც, გაცილებით ძვირად დაუჯდეს. საქმე ის არის, რომ მსოფლიო ბანკის ცალკეული პროექტების კონტრაქტორმა ფირმებმა, კუთვნილი თანხის ანაზღაურების მოთხოვნით, შეიძლება, სასამართლოს მიმართონ.

პრეზიდენტმა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს მიღებულ ინფორმაციაზე შესაბამისი რეაგირება და მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორება დაავალა. შევარდნაძის განცხადებით, მსოფლიო ბანკის პროექტების შეფერხება დაუშვებელია, რადგან ეს სიტუაცია მოქმედებს სხვა ინვესტორებზეც, რომლებსაც, მსგავსი შემთხვევების გამო, საქართველოს საინვესტიციო გარემოზე არც თუ სახარბიელო წარმოდგენა ექმნებათ.

გუშინდელ სხდომაზევე პრეზიდენტის თანაშემწემ თემურ ბასილიამ განაცხადა, რომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარებით, საინვესტიციო საბჭოს სამდივნომ აღნუსხა და ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა ბროშურა "საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო 1992-2002", რომელშიც წარმოდგენილი ინფორმაცია დეტალურად ასახავს დონორთა მიერ გაწეული დახმარების მნიშვნელობას. ბროშურაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მიერ მიღებულმა საერთაშორისო დახმარების მოცულობამ სამ მილიარდ დოლარს გადააჭარბა და ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგი მოიცვა. მნიშვნელოვანია, რომ იგივე ინფორმაცია ათი დღის ვადაში განთავსდება ინტერნეტშიც და ნებისმიერი მსურველისთვის გახდება ხელმისაწვდომი.

# ვენესუელა - ნავთობი თუ კანონიერი პრეზიდენტი?

*ვენესუელაში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია მოქცეული და ეს არავის უნდა გაუკვირდეს. ქვეყანა ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია. იქაური "შავი ოქრო" სასიცოცხლო მნიშვნელობისაა როგორც თავად ამ ქვეყნის, ასევე, ალბათ, დანარჩენი სამყაროსათვისაც. ეს არის სახელმწიფო, რომლის ფუნქცია სწორედ ნავთობის ექსპორტირებაა და რომელშიც არმია და ძალოვანი სტრუქტურები, კაცმა რომ თქვას, ერთი მიზნით არსებობენ – მათ ნავთობი უნდა დაიცვან.*

თორნიკე შარაშენიძე

სწორედ ამიტომ არის, რომ ნებისმიერი პოლიტიკური კონფლიქტი უმალ "ჩაითრევს" ნავთობს და პირიქით: ნავთობის პრობლემა პოლიტიკურ კრიზისში გადაიზრდება ხოლმე. თუკი ვინმეს სურს, რომ არსებული ხელისუფლება შეარყიოს, მან მენავთობეებში უნდა მოიპოვოს მხარდაჭერა. ხოლო ვისაც მენავთობეების მხარდაჭერა არა აქვს, მას პოლიტიკურ არენაზე პრობლემები ექმნება.

რამდენიმე ხნის წინ, სწორედ სახელმწიფო ნავთობკომპანიის გარშემო შექმნილმა უთანხმოებამ დააკარგვინა თავისი პოსტი პრეზიდენტ უგო ჩავესს. ამ უკანასკნელმა კაბინეტში დაბრუნება მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა, რაც მენავთობეებთან საერთო ენა გამონახა. ჩავესი ბოლო ხანს შექმნილ არეულობებს ასეთ შეფასებას აძლევს: "ისინი ყველაზე მტკივნეულ ადგილას მირტყამენ." მტკივნეულ ადგილში, ცხადია, "შავი ოქრო" იგულისხმება, რომლის მოპოვებაც ბოლო ხანებში, პრაქტიკულად, შეჩერებულია და ეს პრეზიდენტს უდიდეს პრობლემებს უქმნის. თუკი "ვენესუელა ჩავესით" ნიშნავს ვენესუელას ნავთობის გარეშე, მაშინ ჩავესი უნდა წავიდეს. პრეზიდენტზე ზეწოლისათვის ნავთობმრეწველობის პარალიზებაზე უკეთეს ხერხს ოპოზიცია ნამდვილად ვერ მოიფიქრებდა.

ნავთობზე ვენესუელას ბიუჯეტის ნახევარი და მისი მთლიანი შიდა პროდუქტის ერთი მესამედი მოდის. ქვეყანა ყოველდღიურად 3 მლნ ბარელს მოიპოვებს და აქედან სამი მეოთხედის ექსპორტირებას ახდენს. რაც შეეხება 3-4 მილიარდის ყოველწლიურ ინვესტიციებს, ამის დიდი ნაწილიც ენერგოსექტორისთვისაა გამიზნული.

ვენესუელა მსოფლიოში სიდიდით მეხუთე ექსპორტიორია. მისი ნავთობის უმთავრესი მომხმარებელი კი აშშ გახლავთ. ამ უკანასკნელის იმპორტის 13% სწორედ ვენესუელაზე მოდის. ამის შემდეგ, ალბათ, საუბარიც ზედმეტია, რა პრობლემები შეიქმნება მსოფლიოს სანავთობო ბაზარზე, თუკი სახელისუფლო კრიზისს ვენესუელაში ბოლო არ მოეღო. პრობლემები მით უფრო მწვავეა იმის გათვალისწინებით, რომ ერაყთან ომი კვლავაც დღის წესრიგში დგას. წარმოიდგინეთ როგორ აიწევს საწვავის ფასები, თუ ნავთობის ექსპორტირება შეწყდება როგორც ერაყიდან, ასევე ვენესუელადან. ნავთობის გაძვირება ხომ ყველაფრის გაძვირებას ნიშნავს. მას კი ინფლაცია და პანიკა მოჰყვება. გლობალური ეკონომიკისათვის, რომელსაც კვლავაც ჩავარდნის პერიოდი უდგას, ეს ლამის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

სწორედ ამიტომ ვენესუელაში კრიზისი რაც შეიძლება მალე უნდა გადაიჭრას, თორემ მსოფლიოს სანავთობო ბაზარზე ვითარებამ შეიძლება კრიტიკულს მიაღწიოს. სადამ ჰუსეინს კი მანევრირებისთვის მეტი თავისუფლება მიეცემა. აბა, ვინ დაარტყამს მას, როცა ვენესუელადან ნავთობის ექსპორტი შეჩერებულია?




www.24hours.ge 24 B

ფეხბურთი

# "დინამო" გაძლიერებას აპირებს

*გუშინ თბილისის "დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გუნდის ხელმძღვანელობამ გამოსამშვიდობებელი პრესკონფერენცია გამართა. არ იფიქროთ, თითქოს კლუბში საკადრო ცვლილებებია. უბრალოდ, "დინამო" ზამთრის არდადეგებზე მიდის და მედიას კლუბის წარმომადგენლებთან ახალ წლამდე არ ექნება კონტაქტი.*

მიხეილ აბაიშვილი

ჟურნალისტურ კორპუსს "დინამოს" აღმასრულებელმა დირექტორმა, გია ფირცხალავამ, მთავარმა მწვრთნელმა, ივო შუშაკმა და პრეს-ატაშემ, ლევან სალუქვაძემ უმასპინძლეს.

კლუბის აღმასრულებელი დირექტორის შეფასებით, თამაშის ხარისხის, პირველ ეტაპზე ნაჩვენები შედეგებისა და სატურნირო ცხრილში დაკავებული ადგილის მიხედვით, "დინამოს" მიღწევებს გუნდის ხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. გია ფირცხალავას თქმით, სეზონის დასაწყისში დასახულია მიზანი - 3 წლის წინ დაკარგული ჩემპიონობის დაბრუნება და ეროვნული თასის ტურნირში გამარჯვება, რაც, პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით, გუნდისთვის მიუღწეველი არ უნდა იყოს. იგივე აზრისაა ხორვატი მწვრთნელიც. შუშაკის თქმით, "დინამომ" მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში 22 შეხვედრა ჩაატარა, მხოლოდ ორი მარცხი განიცადა, ყველა უშუალო კონკურენტის დამარცხება მოახერხა, საუკეთესო ქულათა მარაგით გადავიდა მეორე ეტაპზე და რომ ყოველივე ამით იგი კმაყოფილია. შუშაკი მიიჩნევს, რომ საწვრთნელი შეკრებები, რომლებსაც "დინამო" უცხოეთში გაივლის, გუნდის ფიზიკურ და ტექნიკურ-ტაქტიკურ მზადყოფნას გააუმჯობესებს. შეგახსენებთ, რომ 14 იანვარს საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი კუნძულ კვიპროსზე გაემგზავრება, 28 იანვარს თბილისში დაბრუნდება და რამდენიმე დღეში ისევ უცხოეთისკენ აიღებს გეზს. გუნდი ჯერ ბოსნიაში ჩავა, სადაც საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, ხოლო შემდეგ ხორვატიაში გადაინაცვლებს, სადაც ცნობილ "მაკარსკას" ბაზაზე გააგრძელებს მეორე ეტაპისთვის მზადებას.

რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, მთავარი მწვრთნელის თქმით, იგი სულ არ არის დაინტერესებული, რომ მთავარ გუნდში ორმოცამდე ფეხბურთელი ჰყავდეს. ამიტომაც, გუნდს მოუწევს იმ ფეხბურთელებთან განშორება, რომლებმაც ვერ გაამართლეს მისი იმედები. სანაცვლოდ, "დინამო" აქტიური სატრანსფერო პოლიტიკის გატარებას გეგმავს და, ამ მიზნით, სხვადასხვა ქართულ კლუბებთან მოლაპარაკებებს დაიწყებს. ხორვატმა მწვრთნელმა არ დააკონკრეტა, თუ რომელი ფეხბურთელის ხილვა სურს თავის კლუბში, თუმცა მიგვანიშნა, რომ მისი ყურადღების ცენტრში კვლავაც პირველ ნომრად რჩება ქუთაისის "ტორპედოს" წევრი მალხაზ ასათიანი.

გია ფირცხალავამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ "დინამოს" ხელმძღვანელობა არ აპირებს შეელიოს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენენ, მაგრამ ახალი ფეხბურთელების დამატებაზე კვლავაც იზრუნებს. მოგეხსენებათ, 2003 წლის იანვარში მოსკოვში გაიმართება დსთ-ს



მარჯვნიდან: ივო შუშაკი, გია ფირცხალავა და ლევან სალუქვაძე

და ბალტიის ქვეყნების ჩემპიონთა ტრადიციული ტურნირი, სადაც საქართველოს ღირსებას ქუთაისის "ტორპედო" დაიცავს. შარშანაც ასე იყო, თუმცა მაშინ ამ ტურნირზე "დინამომაც" მიავლინა თავის წარმომადგენელი - ოთარ კორღალიძე, რომლის მოსკოვში ვიზიტის მიზანი ახალი, პერსპექტიული ფეხბურთელების აღმოჩენა გახლდათ. ასეთ პოლიტიკას ატარებენ პოსტსაბჭოური სივრცის წარმატებული გუნდებიც - მოსკოვის "სპარტაკი" და კიევის "დინამო". მიუხედავად იმისა, რომ წინა ტურნირზე კორღალიძეს არც ერთი ფეხბურთელი არ მოსწონებია, "დინამოს" ხელმძღვანელობა კვლავაც ფიქრობს მოსკოვში საკუთარი ემისრის მივლენას. ფირცხალავამ ისიც აღნიშნა, რომ "დინამო" საზღვარგარეთულ შეკრებებზე - კვიპროსზე, ბოსნიასა და ხორვატიაშიც დააკვირდება ფეხბურთელებს და თუ შუშაკს რომელიმე უცხოელი მოეწონება, მათი სატრანსფერო ფასი კი მისაღები იქნება, "დინამო" მასთან კონტრაქტს გააფორმებს.

ხვალ შუშაკი სამშობლოში მიემგზავრება და თბილისში დღესასწაულების დასრულების შემდეგ დაბრუნდება.

## "სუინდონის" ფეხბურთელმა ტრუსი ვერ მოირგო

წარსულში "ტოტენჰემისა" და "ლივერპულის" ცნობილი მცველი ნეილ რადოკი პირველი დივიზიონის კლუბ "სუინდონ სიტიდან" დაითხოვეს. მიზეზი უაღრესად ბანალური გამოდგა - რადოკმა ვერ მოირგო კლუბის კუთვნილი სათამაშო ფორმის ვერცერთი ტრუსი. 34 წლის მოთამაშე-მწვრთნელმა, ტრავმის გამო, ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ვერაფრით მოახერხა წონაში დაკლება. ამჟამად იგი 95 კილოგრამს იწონის. მის შემხედვარე კლუბის ხელმძღვანელობას მოთმინების ფიალა აევსო. გვარიანად გაზულუქებულმა რადოკმა დაკარგა სამუშაო, რომელიც კვირაში კლუბის სახელფასო შემოსავლის მეოთხედს - 4 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. თუმცა, მთლად ხელცარიელი მაინც არ დარჩენილა. მან, კომპენსაციის სახით, 200 000 გირვანქა მიიღო და "სუინდონს" გამოეთხოვა.

ბუნებრივია, რადოკი მომხდარით უკმაყოფილო დარჩა. "მე სუინდონში ცხოვრებით ვტკბებოდი და მწვრთნელად ვყალიბდებოდი. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნებაა. სამწუხაროა, მაგრამ ჩემი მიზნის მისაღწევად სხვა კლუბის მოძებნა მომიწევს," - განაცხადა მოთამაშე-მწვრთნელმა. "სუინდონ თაუნის" ხელმძღვანელობამ კი შვებით ამოისუნთქა და განაცხადა, რომ ძვირად ღირებული ფეხბურთელის დათხოვნა კლუბს ფეხბურთზე ფიქრისა და გუნდის გაძლიერების საშუალებას მისცემს.

## ვენგერს ახლები არ სჭირდება

ლონდონის "არსენალის" მწვრთნელი არსენ ვენგერი არ აპირებს, ახალი ფეხბურთელების შესაძენად გამოიყენოს სატრანსფერო დერეფანი, რომელიც ინგლისში იანვარში იხსნება. ვენგერის ვარაუდით, ჩემპიონთა ლიგაში ორთვიანი პაუზა მის გუნდს საშუალებას მისცემს, მთლიანად პრემიერლიგაზე მოახდინოს კონცენტრირება. "ამჟამად სატურნირო ცხრილის სათავეში ძალიან ბუნდოვანი სიტუაციაა, - მართებულად აღნიშნავს ვენგერი, - და ჩვენ ლიდერის პოზიციის შენარჩუნებას ვაპირებთ. სატრანსფერო დერეფნის გახსნის პერიოდში მე მხოლოდ აქტიური დამკვირვებელი ვიქნები. ჩვენ არავინ გვჭირდება". ინგლისური პრესა იუწყებოდა, რომ "მეთოფეები" "ლიდსის" მცველის, დენი მილსის შეძენას აპირებდნენ, რაზეც ვენგერმა განაცხადა, - "მილსს ვაკვირდები, მაგრამ მის პოზიციაზე ჩვენ საჭირო ფეხბურთელები გვყავს - ლოურენი და ლუჟნი."

## ალ-ქაიდა ტერაქტს ამზადებდა

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ალ-ქაიდა ოქტომბრის თვეში ისრაელის ფეხბურთელთა ნაკრების წინააღმდეგ კუნძულ მალტაზე ტერორისტული აქტის განხორციელებას აპირებდა. თუმცა, ადგილობრივი უშიშროებისა და თელ-ავივის სპეცსამსახურების აქტიური ჩარევით, თავდასხმა არ განხორციელდა. ამის შესახებ ინფორმაცია მალტის რადიომ გაავრცელა. რადიოსადგურის ცნობით, იტალიაში მოისმინეს ალ-ქაიდას ექსტრემისტული ორგანიზაციის აქტივისტების სატელეფონო საუბარი, რომლის დროსაც ერთ-ერთი ოპონენტი მეორეს არწმუნებდა, რომ "მატჩისთვის ყველაფერი მზად არის". სწორედ ამ სატელეფონო საუბრის შემდეგ ჩაება საქმეში ისრაელის სპეცსამსახური. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩი მაინც გაიმართა და ისრაელის ნაკრებმა - 2:0 დაამარცხა მალტა.

რაგბი

# დათვების ზეიმი

*გუშინ ბათუმში რაგბიში საქართველოს ჩემპიონი გამოვლინდა. სამწლიანი პაუზის შემდეგ ტიტული ბათუმის "დათვებმა" დაიბრუნეს, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში უმცროსი თანაკლუბელები დაამარცხეს.*

პაატა თოთაძე

**საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი**

**დათვები - დათვები 2 27:10**

**დათვები:** დადუნაშვილი, ბალანჩივაძე (ცნობილაძე), მარგველაშვილი, პავლოვი, ჩირგაძე, ცხვედიანი, ყურაშვილი, უჩავა (საყვარელიძე), კიკაჩეიშვილი (ხელაძე), კიკნაძე, ხონელიძე, კაპანაძე, პინჩუკოვი, ელოშვილი, ე. ძაგნიძე (მაჩიტიძე)

***2 ლელო** - კიკნაძე, საყვარელიძე*

***2 გარდასახვა** - კიკნაძე*

***5 ჯარიმა** - კიკნაძე (3), ე. ძაგნიძე, მაჩიტიძე*

**დათვები 2:** მოლაშხია (ბარამიძე), გურეშიძე (თათეოსიანი), პაპავა (კეპულაძე), ალიქაძე (სოსელია), პარწიკანაშვილი (კუნჭულია), კიკვიძე, გუგუშვილი, ხაჟომია, გიორგაძე, ჩუბინიძე, შავაძე, ს. ევგენიძე, გ. ევგენიძე (მანთიძე), სვინტრაძე, დავლაძე

***2 ლელო** - პარწიკანაშვილი, დავლაძე*

დათვური ფინალი. დღესაც კი, როცა უკვე ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, ბევრი გაოცებას ვერ მალავს, როგორ მოახერხეს ბათუმელებმა, ჩემპიონის ტიტული ერთმანეთში გაეთამაშებინათ. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი ვითარება იქნებოდა ჩემპიონატის დასაწყისში, თუნდაც, პირველი ეტაპის შემდეგ? პლეიოფის დაწყებამდეც კი ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ "დათვები 2" ნახევარფინალში ქვეყნის ჩემპიონს დაამარცხებდა. მოვლენები მოულოდნელად განვითარდა, დღეს კი უმეტესობა მომხდარს, გარკვეულწილად, ლოგიკურადაც მიიჩნევს.

"უმაღლესი ლიგის დებიუტანტისთვის ფინალში გასვლა, ვფიქრობ, ძალიან კარგი შედეგია. რა თქმა უნდა, მეტის გაკეთების სურვილი გვქონდა - ანუ ჩემპიონობის, მაგრამ დღეს საამისოდ ძალები არ გვეყო", - მატჩის შემდეგ განაცხადა "დათვები 2"-ის მთავარმა მწვრთნელმა, რამაზ სანებლიძემ. საინტერესოა, რომ თავის დროზე "დათვებმაც" ასე დაიწყო - 1998 წელს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დებიუტანტი ფინალში "ყოჩებთან" დამარცხდა.

"მთელი ჩემპიონატის მანძილზე ვლიდერობდით სატურნირო ცხრილს და ვფიქრობ, ჩემპიონობას ვიმსახურებდით", - ეს გამარჯვებულთა თავკაცის, ლევან მგელაძის მატჩის შემდგომ ნათქვამი სიტყვებია.

ბათუმში კი გამოიდარა, მაგრამ მატჩი დამდნარი თოვლისგან ატალახებულ მოედანზე გაიმართა, უფრო სწორად, მოედანი თანდათან ატალახდა და ბოლოს ისეთი ვითარება შეიქმნა, გულშემატკივრებს უკვირდათ კიდეც, მორაგბეები ერთმანეთს როგორ არჩევენო. შეხვედრის დასრულების შემდეგ მატჩის არბიტრმა, ნოდარ რობიტაშვილმა გაიხუმრა, - ვინ რომელი გუნდის მოთამაშე იყო, ხმით ვარჩევდი, თორემ სახე არავის უჩანდაო.



ბათუმის "დათვები" საქართველოს ჩემპიონია

როგორც მოსალოდნელი იყო, უპირატესობას თავიდანვე "დათვები" დაეუფლნენ და ტაიმი 16:0 მოიგეს. ამ 16 ქულიდან 13 კიკნაძის ანგარიშზეა, რომელმაც ჯარიმების გატანა არ იკმარა და პირველმა დაალელოვა მეტოქე. მართალია, მეორე ტაიმიც უფროსმა დათვებმა მოიგეს, მაგრამ უპირატესობა იმდენად დიდი აღარ იყო, როგორც - შესვენებამდე. ამაზე მეტოქის ორი ლელოც მეტყველებს. შეხვედრას წერტილი დაუსვა კახა მაჩიტიძემ, რომლის ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი მატჩის საბოლოო ანგარიში და მისი თანაგუნდელების გაჩემპიონება დაფიქსირდა.

ამ ყველაფრის შემდეგ კი დაჯილდოება და "დათვური" ზეიმი დაიწყო...

კრივი

## ქამრის ქურდი

ამერიკელი მძიმეწონოსანი მოკრივე ჰასიმ რაჰმანი მზადაა მოქმედ მსოფლიო ჩემპიონს ბრიტანელ ლენოქს ლუისს სასამართლოში დაუპირისპირდეს. ლუისთან სასამართლოში ურთიერთობის გარკვევა, რაჰმანის თქმით, იმითაა განპირობებული, რომ ბრიტანელთან ლას-ვეგასში შარშანდელი შერკინებისას ამ უკანასკნელს 250 ათასი დოლარის ღირებულების სამი საჩემპიონო ქამარი მოუპარავს. შეგახსენებთ, რომ 2001 წლის 17 ნოემბერს, როდესაც ლუისმა რაჰმანი მეოთხე რაუნდში ნოკდაუნში ჩააგდო და, შესაბამისად, გაიმარჯვა კიდეც, ფოტოგრაფებთან თავის მოწონების მიზნით, მისგან IBF-ის (ფედერაციის), WBC-ის (საბჭოს) და IBO-ს (ორგანიზაციის) ქამრები ითხოვა. თუმცა, შემდეგ ბრიტანელს ეს ქამრები პატრონისთვის აღარ დაუბრუნებია. წესით, საჩემპიონო ქამარი თუ ქამრები ძველ მეპატრონესთან სამუდამოდ რჩება მაშინაც კი, თუ მოკრივე ტიტულს გამოეთხოვება. გამარჯვებულისთვის ახალ რეგალიებს ამზადებენ.

მოკლედ

**ფეხბურთი.** როტერდამის "ფეიენოორდი", რომელიც ჰოლანდიის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის, გუნდის შემადგენლობის გაძლიერებას "ჰერენვენის" 33 წლის მცველით, ჰერარდ დე ნოიერით აპირებს. "ჰერარდი ნამდვილი ლიდერის მენტალიტეტს ფლობს. ეს ის თვისებაა, რომელიც ჩვენს გუნდს სჭირდება", - განაცხადა "ფეიენოორდის" მთავარმა მწვრთნელმა, ბერტ ვან მარვიიკმა. 33 წლის ნოიერი სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება, ამიტომ ვარაუდობენ, რომ მასზე ნამდვილი ტაციაობა დაიწყება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანური "ბარსელონას" ლაზარეთი იზრდება. კლუბის ტრავმირებულთა სიაში ჰოლანდიელი მცველი მიხაელ რაიციგერიც აღმოჩნდა. სავარაუდოდ, იგი მინდორზე მომავალ წლამდე ველარ გამოვა. კლუბის ექიმის, რიჩარდ პრუნის დიაგნოზი გამართლდა ტესტებით, რომელიც ჰოლანდიელს "ნიუკასლთან" მატჩის შემდეგ ჩაუტარდა. მას მარცხენა ფეხზე კუნთი გაუწყდა და 4-6 კვირით მკურნალობას საჭიროებს. რაიციგერი "ბარსას" ერთადერთი ფეხბურთელი არ არის, რომელმაც გუშინ საავადმყოფოს მიმართა. მასთან ერთად იყვნენ - კოკუ, დე ბური, ენრიკე და ანდერსონი. გარდა ამისა, კლუბის ხელმძღვანელობას ლუის ენრიკეს ჯანმრთელობა აღელვებს, რომელიც დღევანდელ შეხვედრაში ნამდვილად ვერ ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კარლო კუდიჩინი ლონდონის "ჩელსის" წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. "ჩელსის" პრეზიდენტმა კენ ბეიტსმა გოლკიპერს საპატიო ჯილდო 12 დეკემბრს გალერეში მოწყობილ საშობაო ვახშამზე გადასცა. წლის საუკეთესო ფეხბურთელს კლუბის ფანები ასახელებენ, რომლებიც ყოველი თამაშის ბოლოს სპეციალურ პროგრამებში მატჩის საუკეთესო ფეხბურთელს გამოყოფენ. საგულისხმოა, რომ ასეთი აღიარება მეკარემ უკანასკნელად 1986 წელს მიიღო. საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი კარლტონ კოულს გადაეცა. ორივე პრიზი კლუბის სპონსორმა, ავიაკომპანია Emirates-მა დააწესა. ამას გარდა, პრეზიდენტის ორი სპეციალური ჯილდო ჯოდი მორისს და ჯონ ტერის გადაეცათ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრების მთავარ მწვრთნელად საფრანგეთის "პარი სენჟერმენის" ყოფილი ფეხბურთელი, რიკარდუ გომეში დაინიშნა. მის წინაშე ერთადერთი ამოცანა დგას. ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ბრაზილიის ნაკრებმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველი ოლიმპიური ოქრო უნდა მოიგოს. აქამდე ოლიმპიურ თამაშებზე ბრაზილიის ნაკრების საუკეთესო მიღწევა ვერცხლის მედლებია - 1984, 1988 და 1996 წლებში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** თავისი საყვარელი გუნდის მომდევნო ეტაპზე გასვლით გახარებულმა "სელტიკის" ფანებმა გლაზგოსკენ მიმავალ თვითმფრინავში ნამდვილი დებოში მოაწყვეს. ხულიგნობამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ბოინგ - 737-ის კაპიტანი იძულებული გახდა, განგაში აეტეხა და კარდიფში იძულებითი დაჯდომა განეხორციელებინა. უელსის პოლიციამ რამდენიმე შფოთის ამტეხი დააპატიმრა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** შესაძლოა, "მონაკოს" კლუბის მფლობელი შეიცვალოს, რაც, სავარაუდოდ, გავლენას იქონიებს გუნდის მთავარი მწვრთნელის, დიდიე დეშამის მომავალ კარიერაზე. ჯერჯერობით არავინ იცის, მოეწონება თუ არა დეშამის მუშაობის სტილი კლუბის ახალ ინვესტორს. "ჯერჯერობით ჩემს მოვალეობას შევასრულებ, დიდიე კი მწვრთნელი იქნება, - განაცხადა კლუბის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა, ჟან-ლუი კამპორამ, - როცა ახალი ინვესტორები გამოჩნდებიან, დეშამის მომავალსაც ისინი გაარკვევენ."

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა მერიონ ჯოუნსმა გადაწყვიტა, უთანხმოების გამო, ძველ დამრიგებელთან - ტრევორ გრემთან კავშირი გაეწყვიტა და საქმე ახალ მწვრთნელთან დაეჭირა. ასეთი კი კანადელი დერეკ ჰანსენი აღმოჩნდა. ჯერჯერობით გაურკვეველია, გაწყვეტს თუ არა კავშირს ჯოუნსის მიერ დაწუნებულ მწვრთნელთან ოლიმპიური ჩემპიონის თანამემამულე, პარტნიორი და ბოიფრენდი, 100 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი ტიმ მონტგომერი.

■ ■ ■

**ველორბოლა.** ცნობილმა ამერიკელმა ველომრბოლმა, "ტურ დე ფრანსის" ოთხგზის გამარჯვებულმა, ლენს არმსტრონგმა 2004 წლისთვის საკუთარი კარიერის დასრულება განიზრახა.

"ვფიქრობ, ეს ყველაზე შესაფერისი დრო იქნება იმისთვის, რომ სპორტიდან წავიდე. თუმცა, არ გამოვრიცხავ, ამის მერეც დავრჩე ველოსპორტში", - "La Gazzetta dello sport"-თან ინტერვიუში განაცხადა არმსტრონგმა. რაც შეეხება მომავალ სეზონს, ამერიკელს გადაწყვეტილი აქვს, ბასკი მიგელ ინდურაინის რეკორდი გაიმეოროს, რომელმაც "ტურ დე ფრანსთან" გამარჯვება ხუთჯერ იზეიმა.

■ ■ ■

**კრივი.** Klitschko.com-ის ცნობით, დინო დუვას, რომელიც კლუბ "Duva Boxing"-ისა და 30 წლის კანადელი მძიმეწონოსანის, კირკ ჯონსონის ("Bubba") პრომოუტერია, საკუთარ შეგირდ ვლადიმირ კლიჩკოსთან დაპირისპირება სურს. არაოფიციალური ინფორმაციით, თუ მათი დაპირისპირება განხორციელდა, მაშინ ეს, სავარაუდოდ, გერმანიაში, ნიურნბერგში მომავალი წლის ზაფხულში მოხდება.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) წარმომადგენელმა, პიტერ რაიანმა განაცხადა, რომ 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ათენში უსაფრთხოების უმაღლესი ზომები იქნება მიღებული. თუმცა, მისივე თქმით, ეს სულაც არ შეუშლის ხელს სპორტული დღესასწაულით დატკბობის მსურველებს.

"ოლიმპიური თამაშებისას სამართალდამცველების თვალში საცემი რაოდენობა იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი ქმედება ვინმეს თავს მოაბეზრებს", - განაცხადა რაიანმა. ისე კი, ყველაზე მეტი ყურადღება პირეოსის პორტისა და ათენის საერთაშორისო აეროპორტის უსაფრთხოებას დაეთმობა.

ცურვა

# იძულებითი როქი და არქივში გადაძახებული ევროპა

*რიზაში მიმდინარე "პატარა წყლის" ევროპის ჩემპიონატზე მასპინძელმა გერმანელებმა ასპარეზობის პირველი დღის დანაკლისი ერთბაშად აანაზღაურეს. ჩემპიონატის მეორე დღეს გერმანელები ჩემპიონის კვარცხლბეკზე სამჯერ ავიდნენ, ხოლო წინა დღის ფავორიტ შვედებს, რომლებიც ცხრილის სათავეში იყვნენ მოქცეულნი, გერმანელებთან იძულებითი როქი გამოუვიდათ და ამჯერად მეორე პოზიციაზე გადაინაცვლეს. ორი დღის ჯამში კი კვარცხლბეკზე ასული ქვეყნების რაოდენობა 16-დან 22-მდე გაიზარდა.*

გიგა გურასაშვილი

მასპინძლები ორი დღის ჯამში საუკეთესოდ რომ გამოიყურებიან, ამაში ლომის წილი ტომას რუპრატს მიუძღვის, რომელმაც 20-წუთიან ინტერვალში ორჯერ გახდა ჩემპიონი. 25 წლის გერმანელმა თავიდან 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გაიმარჯვა და ტიტულიც შეინარჩუნა. გამარჯვების მიუხედავად, რუპრატის მიერ ბერლინში იანვარში დამყარებული მსოფლიო რეკორდი (50.10) არ შეცვლილა. მომდევნო ფინალამდე რუპრატს სულ რაღაც ორი ათეული წუთი აშორებდა და იგი 50.77 წამითაც კმაყოფილი ჩანდა. გერმანელმა ძალები 50 მეტრზე გულაღმა სპრინტისთვის შემოინახა და მისმა ამ სტრატეგიამაც გაამართლა - აუზის კიდესთან მან პირველმა მისცურა, თან ჩემპიონატის რეკორდით - 23.66. რუპრატს ნახევარი წამით უკეთესი შედეგი რომ ჰქონოდა, ორი კვირის წინათ ეროვნულ ჩემპიონატში დამყარებულ საკუთარ მსოფლიო რეკორდსაც გააუმჯობესებდა.

მესამე "ოქრო", რომელიც ჩემპიონატის მეორე დღეს მოიპოვეს გერმანელებმა, ანტიე ბუშულტეს ეკუთვნის, რომელიც 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში წინა ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულს - ჩეხ ილონა ჰლავაკოვას ეჯიბრებოდა. პირველობა ამჯერადაც გერმანელმა მოიპოვა (58.60).

გამარჯვება არც შვედ ანა-კარინ კამერლინგს გასჭირვებია - 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში სკანდინავიელმა უახლოეს მდევარს, თანამემამულე ლენა ჰოლანდერს მთელი კორპუსით გაუსწრო და, შესაბამისად, პირველი ადგილიც ჩამოართვა. ამასთან, მან შარშან დეკემბერში დაკარგული ტიტულიც დაიბრუნა.

საინტერესოდ წარიმართა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობაც - სლოვაკმა მარტინა მორავცოვამ და ბელორუსმა ელენა პოპჩენკომ იმდენად სინქრონულად იცურეს, რომ შეჯიბრების დასრულების შემდეგ ელექტრო



ტომას რუპრატი

ტაბლო ორივე მათგანს ერთნაირ (53.66) შედეგს უჩვენებდა.

"არც ისე კარგი შედეგია, მაგრამ უმაღლეს საფეხურზე დგომა მიყვარს მაშინაც კი, როცა ამას სხვასთან ერთად ვინაწილებ", - განაცხადა მორავცოვამ.

სლოვაკისგან განსხვავებით, საკუთარი შედეგით კმაყოფილებას ვერ მალავდა ბელორუსი პოპჩენკო: "დაუჯერებელია - კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მორავცოვასთან ერთად დგომა. ესეც რომ არა, ეს ჩემი პირველი ევროპული მედალია."

შედეგით კმაყოფილია მესამე ადგილზე გასული მასპინძელი - პეტრა დალმანიც, რადგან "ბრინჯაო" მისი კარიერის პირველი ინდივიდუალური მედალი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის მეორე დღემ მსოფლიო რეკორდის გარეშე ჩაიარა, არ შეიძლება, არ აღინიშნოს უნგრელი ევა რისტოვის მიერ 15 წლის განმავლობაში ხელუხლებელი ევროპული რეკორდის (8.15,34) გაუმჯობესება (98.14,72), რაც 17 წლის მოცურავემ 800 მეტრზე თავისუფალ ცურვაში ასპარეზობისას შეძლო. აწ უკვე არქივში გადაძახებული 1987 წლის ევროპის რეკორდი კი ყოფილი გდრ-ის წარმომადგენელს, ასტრიდ შტრაუსს ეკუთვნოდა.

## მოკლედ

"საქწიგნის" კუთვნილ შენობაში უკვე რამდენიმე წელია აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ და მათთან "საქწიგნის" ხელმძღვანელობას ურთიერთობა დიდი ხანია დაეძაბა. სააქციო საზოგადოება დევნილებს შენობის დაზიანებაში ადანაშაულებს და მოითხოვს სასამართლომ დაადგინოს მათ მიერ შენობისათვის მიყენებული ზარალი. დევნილები თავის მხრივ უარყოფენ "საქწიგნის" ბრალდებებს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თოჯინების თეატრში 3 იანვარს საახალწლო პრემიერა გაიმართება. წარმოდგენის - "ოცნებათა სამყარო" ავტორები მაია ლორთქიფანიძე, თამარ სოლოღაშვილი, ლია მჭარაძე და გია აბაკელია არიან. ლამაზ სანახაობასთან ერთად სპექტაკლში მონაწილე სანტა კლაუსები როგორც ზღაპრის პერსონაჟებს, ისე მოქმედებაში ჩართულ ბავშვებს ოცნებებს აუსრულებენ. "თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენზე უკეთესი ნაძვის ხე თბილისში 3 წელია არავის ჰქონია," - განუცხადა "ინტერ-პრესს" თოჯინების თეატრის დირექტორის მოადგილემ აზა საჯაიამ. თოჯინების თეატრი პატარა მაყურებლებს სხვა სასიამოვნო სიურპრიზებსაც ჰპირდება. სპექტაკლის პრემიერა თეატრში 15 იანვრამდე გასტანს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ დმანისის არქეოლოგიურ-პალეონთოლოგიური ძეგლისათვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტს წერილობით მიმართა. როგორც "ინტერ-პრესს" კულტურის სამინისტროში განუცხადეს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ დმანისის ძეგლისათვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და მისი იუნესკოს მსოფლიოს მემკვიდრეობის ჩამონათვალში წარდგინების, ალექსანდრეს ბაღის პირვანდელი საზღვრების აღდგენის, მის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობის პარკის ფუნქციასთან შესაბამისობაში მოყვანისა და ძველი ქართული მხატვრობის კვლევის ფიქსაციისა და რესტავრაციის ცენტრის უზუფრუქტის წესით საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადაცემის საკითხები განიხილა. ამასთან დაკავშირებით საბჭოში შემსწავლელი კომისია შეიქმნა, რომელიც ამ საკითხზე ერთი თვის განმავლობაში იმუშავებს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს თავის რეკომენდაციებს წარუდგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

საახალწლო კონცერტების ფარგლებში 21 დეკემბერს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამოჩენილი საოპერო მომღერლის, ნოდარ ანდღულაძის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი "BRAVO MAESTRO" გაიმართება. როგორც "კავკას-პრესს" კონსერვატორიიდან აცნობეს, კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური ოპერის სოლისტი, ტენორი თემურ გუგუშვილი და კონსერვატორიის სტუდენტები - თეა დანელია, ნინო მაჩაიძე. კონცერტზე ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები შესრულდება. ნოდარ ანდღულაძე ამჟამად კონსერვატორიაში ვოკალის კლასს ხელმძღვანელობს. დიდი მომღერლის 75 წლისადმი მიძღვნილი კონცერტების ციკლი წლის ბოლომდე გაგრძელდება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

ზაქარია ფალიაშვილის 130 წლის იუბილე, რომელიც წლეულს უნდა გამართულიყო, კიდევ ორი წლით გადაიდო. როგორც „მედია-ნიუსისთვის" გახდა ცნობილი, კომპოზიტორის იუბილე 2003 წელს ბაგრატის ტაძრის 1000 წლის იუბილესთან ერთად აღინიშნება. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი, რომელიც ქუთაისის ერთ-ერთი ძველ უბანში მდებარეობს, სავალალო მდგომარეობაშია. მას რესტავრაცია უკანასკნელად 1985 წელს ჩაუტარდა. მაშინ იქ მცირე დარბაზიც კი გაკეთდა, სადაც მუსიკალური სალონი უნდა განთავსებულიყო. როგორც ცნობილია, ქუთაისის საკრებულომ მუზეუმის აღდგენისათვის 2001 წელს ბიუჯეტში 385 ათასი ლარი გამოყო, რომელიც 2002 წელს არჩევნების შედეგად მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ ქუთაისში გზების შესაკეთებლად გამოიყენა. ქუთაისის მერიის კულტურული სამსახურის ხელმძღვანელობა მუზეუმის რესტავრაციას მომავალ წელს გეგმავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ, რომელსაც კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე ხელმძღვანელობს, მიიღო გადაწყვეტილება, რომ დმანისის არქეოლოგიურ-პალეონტოლოგიურ ძეგლს მიენიჭოს უძრავი ძეგლის სტატუსი და წარადგინონ იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ჩამონათვალში. ამ მიზნით საბჭო საქართველოს პრეზიდენტს წერილობით მიმართავს. გარდა ამისა, მემკვიდრეობის დაცვის საბჭოში შეიქმნა შემსწავლელი კომისია, რომელიც ერთი თვის განმავლობაში ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ იმსჯელებს. ამასთან დაკავშირებით შემსწავლელი კომისია საბჭოს რეკომენდაციებს წარუდგენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

საქართველოს კულტურის სამინისტრომ შპს „ზემელის" წინააღმდეგ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. კულტურის სამინისტრო საკუთარ ტერიტორიაზე აფთიაქის მშენებლობას აპროტესტებს. სამინისტროს ინფორმაციით, აფთიაქის მშენებლობა სამინისტროს ფართის ხარჯზე მიმდინარეობს, რითაც სამინისტროს საპროექტო ტერიტორია ირღვევა. მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ მშენებლობის შეჩერების შესახებ უკვე გამოიტანა აღსრულების ფურცელი. სასამართლოში ამ ფაქტთან დაკავშირებით მოსამზადებელი სხდომა 2003 წლის 13 იანვარს გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ და საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა კულტურის მოღვაწეებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიღწეული წარმატების გამო დღეს ფულადი დახმარებები გადასცეს. მერიაში 50 ლარის ოდენობის დახმარება მუსიკალური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების და თეატრების 85-მა წარმომადგენელმა მიიღო. როგორც „მედია-ნიუსს" კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა დავით ოქიტაშვილმა განუცხადა, კულტურის მოღვაწეები შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებმა შეარჩიეს. მერიის კულტურის საქალაქო სამსახური კულტურის მოღვაწეებს უკვე მეორე წელია აჯილდოებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საახალწლო წარმოდგენები გაიმართება. ოპერის თეატრის საბალეტო დასი და თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეები პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტს „მაკნატუნა" წარმოადგენენ.

მთავარ პარტიებს გიორგი ტაბატაძე, ირაკლი შენგელია და გიორგი ჩხაიძე შეასრულებენ, მარის პარტიას ეკატერინე ბეზირგანი და მარიამ ალექსიძე. ოპერის თეატრი თავის მაყურებელს კიდევ ერთ სპექტაკლზე ეპატიჟება. ამჯერად თეატრის საოპერო დასი საპრემიერო სპექტაკლს - ვერდის „მაკბეტს" წარმოადგენს. „მაკბეტი" ოპერის თეატრის სცენაზე რეჟისორმა გურამ მელივამ დადგა. მასში მთავარ პარტიებს ბესიკ გაბიტაშვილი, ირმა ბერძენიშვილი და ელდარ გეწაძე ასრულებენ. სპექტაკლში მონაწილეობს აგრეთვე ჯანსუღ კახიძის ბიჭუნათა კაპელა. ორკესტრს ზაზა აზმაიფარაშვილი უდირიჟორებს. „მაკბეტის" პრემიერა ოპერის თეატრში 20 დეკემბერს გაიმართება, ბალეტ „მაკბეტს" კი მაყურებელი 25 დეკემბერს იხილავს. **მედია-ნიუსი**

# მაიაკოვსკის „აბანო" ქართულ-იტალიურად

ნანა ბასილაშვილი

*შეიძლება ითქვას, რომ ქართველი რეჟისორები საქართველოს საზღვრებს გარეთ აქტიურ მუშაობას ეწევიან. რეჟისორი დავით საყვარელიძე მოსკოვის სამხატვრო თეატრში, დრამატურგ ევგენი გრიშკოვეცის ერთ-ერთი პიესის მიხედვით, სპექტაკლს დგამს. რამოდენიმე დღის წინათ იგი მოსკოვში გაემგზავრა. მალე ქართველი რეჟისორის სპექტაკლს იტალიელი მაყურებელიც იხილავს. რეჟისორი გიორგი გაბელაია ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა მარკო პროსპერინმა და მისმა პროდიუსერმა ანდრეა ოლივამ იტალიის ერთ-ერთ თეატრში მიიწვიეს. სრულიად ევროპის ნაციონალურ ფესტივალზე ქართველი რეჟისორი, იტალიელ მსახიობებთან ერთად, მაიაკოვსკის "აბანოს" წარადგენს. სამშობლოში დაბრუნებისთანავე კი, მისი თაოსნობით, თბილისში კიდევ ერთი ახალი თეატრი გაიხსნება.*


*გიორგი გაბელაია*

გიორგი გაბელაიას თბილისის, ჭიათურის, ქუთაისის, მესხეთისა და ცხინვალის სახელმწიფო თეატრებსა და პროფესიონალურ დასებში 30-ზე მეტი სპექტაკლი აქვს დადგმული. რამოდენიმე წლის წინათ კი მან, თბილისის იტალიური სკოლის მოსწავლეებთან ერთად, გრიბოედოვის თეატრში სპექტაკლი "პინოქიო" წარმოადგინა. პრემიერას "პინოქიოს" პიესის ავტორი - დონ რაფაელო ლავანიო ესწრებოდა. ნანახით კმაყოფილმა, დასი იტალიაში მიიწვია. პატარა მსახიობებმა, სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად, 2000 წელს "პინოქიო" პალერმოში, რომსა და რეიეტის საოპერო თეატრში ითამაშეს. შემდეგ წელს გიორგი გაბელაია და მისი არაპროფესიონალი დასი ქალაქ პეშა-კოლოდიში, "პინოქიოს" პირველ საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს. რამოდენიმე ქვეყნის პროფესიონალური თეატრალური დასების მიერ ნათამაშებ "პინოქიოებს" შორის ქართველების წარმოდგენა ფესტივალის ფავორიტად დასახელდა. წელს, ამჯერად იტალიის 7 ქალაქში იმავე სპექტაკლის გასტროლების დროს მსახიობმა და რეჟისორმა მარკო პროსპერინმა და მისმა პროდიუსერმა ანდრეა ოლივამ გიორგი გაბელაიას რომის ერთ-ერთ თეატრში სპექტაკლის დადგმა შესთავაზეს. დამკვეთებს რუსული დრმატურგიიდან რომელიმე პიესის "გაცოცხლება" სურდათ. გაბელაიას მიერ შეთავაზებული ვარიანტებიდან (დოსტოევსკი, მაიაკოვსკი, რადინსკი და ა.შ.) მათ მაიაკოვსკის "აბანო" აირჩიეს. ტექნიკური საკითხების მოგვარებისთანავე გიორგი გაბელაია, თარჯიმან გია ბუხრიკაშვილთან ერთად, რომის ერთ-ერთ თეატრში პროფესიონალურ დასთან სამუშაოდ გაემგზავრება. ქართველი რეჟისორი და იტალიელი მსახიობები მაიაკოვსკის "აბანოს" პრემიერას 2003 წლის ივნისში სრულიად ევროპის ნაციონალურ ფესტივალზე გამართავენ.

"რაღაც განსაკუთრებული შეგრძნებები არ მაქვს, იმასვე განვიცდი, რა გძნობაც ყოველი სპექტაკლის დადგმის დროს მეუფლება, საქართველოში იქნება ეს, თუ - ნებისმიერ სხვა ადგილას. ჩვენი თეატრალური სკოლა საკმაოდ ძლიერია. სადაც მიშა თუმანიშვილი გვყავდა, რობიკო სტურუა და თემურ ჩხეიძე გვყავს, იქ "საშიში" არარაფერია. შარშან ფესტივალზე რამდენიმე თეატრის სპექტაკლები ვნახე. ძალიან კარგი არტისტები ჰყავთ, მაგრამ სპექტაკლები, რეჟისორული თვალსაზრისით, ცოტა სუსტი მომეჩვენა. პრინციპში, ევროპაში ახლა უკვე იშვითად, რომ ძალიან სერიოზული ნამუშევარი შეგხვდეს. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ, ჩვენი პირველი ეშელონების რეჟისორებს კი არა, ვთქვათ, თეატრალური ინსტიტუტის ახალბედა რეჟისორებს უცხოეთში მუშაობის საშუალება რომ მისცე, საკმაოდ მაღალ შეფასებას დაიმსახურებენ. საქართველოში ხომ რეჟისორული სკოლა საკმაოდ ძლიერია. თუმცა, წინასწარ მაინც არ შეგვიძლია, გავთვალოთ, რა გამოვა - ჩავარდება სპექტაკლი, თუ მოწონებას დაიმსახურებს. რომ გგონია, რაღაცას გენიალურს აკეთებ, ამ დროს შეიძლება მაყურებელმა პომიდორი გესროლოს", – მშვიდად საუბრობს გიორგი გაბელაია, რომელიც გამგზავრებამდე ერთი მნიშვნელოვანი საქმითაა დაკავებული; იგი თბილისში ახალ თეატრს აფუძნებს და ამჟამად მის ოფიციალურ გაფორმებაზე ზრუნავს. იგი სამშობლოში დაბრუნებისთანავე საკუთარ თეატრში( "აპოლო") აქტიურ მუშაობას შეუდგება და ოქტომბერში უკვე სეზონს გახსნის. "აპოლო" იქნება ჩვეულებრივი სარეპერტუარო, დრამატული თეატრი, მუდმივად მოქმედი დასით, რომელსაც საკუთარი თეატრ-სტუდიაც ექნება.

# ფერადი ზამთარი პოდიუმზე

## ტრადიციული თექა თანამედროვე ინტერპრეტაციით

თეონა ჯაფარიძე

როცა კოლექციის ჩვენება დეფილეს განუყოფელი აქსესუარების - პოდიუმისა და პროფესიონალი მანეკენების გარეშე ტარდება და პუბლიკა მაინც აღფრთოვანებულია, ისღა დაგვრჩენია, ვიფიქროთ, რომ ამ აღფრთოვანების მიზეზი კოსტიუმებია. "არ გვინდოდა, ჩვენებისთვის დეფილეს სახე მიგვეცა. გვსურდა, მნახველს ძირითადი ყურადღება კოსტიუმებისთვის მიეპყრო და არა მანეკენებისთვის, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე", - ასე ახსნა გუშინ დიზაინერმა თინა კლდიაშვილმა პომპეზურობის გარეშე შემოთავაზებული კოლექციის ჩვენება.

ეს ჩვენება თბილისის ისტორიის მუზეუმის "ქარვასლის" საგამოფენო დარბაზში შედგა. წარმოდგენილი იყო თინა კლდიაშვილის შემოქმედებითი სახელოსნოს ზამთრის კოლექცია (თორმეტი ავტორი და სამოცამდე კოსტიუმი). ცნობისათვის: სახელოსნოს უკვე ერთი



*ზამთრის კოლექციიდან*

წლის ისტორია აქვს და ის სამხატვრო აკადემიის ტექსტილისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების კურსდამთავრებულებს აერთიანებს. წარმოდგენილი კოლექცია ოთხი თვის მანძილზე იქმნებოდა.

შეგახსენებთ, რომ ეს ჩვენება უფრო ქართული ტრადიციული მასალის - თექის შესაძლებლობების დემონსტრირება იყო. თექა საკმაოდ რთული ფაქტურაა ზამთრის პალტოების დახვეწილი, მკაცრი ხაზების შესაქმნელად. ბუნებრივი თუ ქიმიური საღებავებით მიღებული ფერები, თექით შექმნილი ზამთრის პალტოები, ქუდები, ჩანთები თუ მძივები ერთიანად ეწინააღმდეგება სტანდარტულ ფორმას და ზამთრის ერთფეროვნებას. კოლექციამ ჩვენებაზე მისულ ბევრ მნახველს გაუღვიძა სურვილი, ზამთარი უჩვეულო, თექის ფერადი პალტოებით გაატარონ. სახელოსნოს ისღა დარჩენია, რომ მოდის ბიზნესში პირველი ნაბიჯების გადასადგმელად ინვესტორს დაუკავშირდეს.

# საოცრება ოპერის თეატრის სცენაზე

ლეილა ნადარეიშვილი
საქართველოს დამსახურებული არტისტი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

საქართველოში ნორჩი თაობის მხატვრულ აღზრდას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა საცეკვაო ხელოვნება, რომელიც ერთად იყო მუსიკა და თეატრი.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში ტფილისში ალექსანდრ ერმოლოვისა და ოზურგეთში მამია გურიელის მიერ დაარსდა სტუდიები, სადაც ადგილობრივი თავად-აზნაურების ბავშვები სამეჯლისო ცეკვებს სწავლობდნენ. მაღალი საზოგადოებისთვის აუცილებელი ქცევის დაუფლების ამ ტრადიციამ შემდგომში ფართო განვითარება ჰპოვა, კერძოდ, თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაშიც, სადაც სხვა საგნებთან ერთად ისწავლებოდა ხატვა, მუსიკა და სამეჯლისო ცეკვები. ამ წამოწყებაში დიდი მონაწილეობა მიუღია ალექსანდრ გრიბოედოვს, ხოლო ვაჟთა გიმნაზიის საუკეთესო მოცეკვავედ და "ქართულის" უბადლო შემსრულებლად დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი ითვლებოდა.

შემდგომში კლასიკური საცეკვაო განათლების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ცნობილმა მოცეკვავეებმა: მანოხინმა, მუხანამ, ორლოვსკაიამ, მორტკინმა და სხვებმა, მოგვიანებით კი - იტალიელებმა: ანტონელიმ, ინოჩენციმ და განსაკუთრებით, პერინიმ. მათ მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სწორედ მათ სტუდიებში აიდგეს ფეხი პირველმა პროფესიონალმა მოცეკვავეებმა, რომელთაც ქართულ საბალეტო თეატრს ჩაუყარეს საფუძველი.

სწორედ მარია პერინის სტუდიაში დაიბადა ვახტანგ ჭაბუკიანის ტალანტი; აქვე აღიზარდნენ სახელოვანი ბალერინები მარიამ ბაუერი, ნინო რამიშვილი, ლილი გვარამაძე, ელენე ჩიკვაიძე, მარია კაზინეცი, ქეთევან ნადარეიშვილი, ანა წერეთელი და მრავალი სხვა.

1935 წელს თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდიის დაარსებამ კერძო სტუდიები ჯერ დაჩრდილა, ხოლო მოგვიანებით, მათ საერთოდ შეწყვიტეს არსებობა.

ამავე პერიოდში, ევროპაში კერძო საცეკვაო პრაქტიკა ფართოდ იყო გავრცელებული. კლასიკური და მოდერნული ცეკვის დაუფლება დღესაც ახალგაზრდობის ჰარმონიული აღზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საქართველოში კერძო საცეკვაო სტუდიების აღორძინება 90-იანი წლებიდან იწყება, რაც ხელოვნების კოლეჯების დაარსების ნამდვილი ბუმით აღინიშნა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი დაიკავა თბილისის I კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სტუდიამ, რომელიც 1997 წელს ცნობილი ბალერინას მაკა მახარაძის თაოსნობით გაიხსნა და სადაც თავიდანვე გამოიკვეთა ოდესღაც თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში დაფუძნებული ტრადიციების აღორძინების სურვილი.

ეს მისია სწორედ მაკა მახარაძეს დაეკისრა, პიროვნებას, რომელიც არა მარტო დახვეწილი მხატვრული გემოვნებითა და საცეკვავო ხელოვნების პროფესიული ცოდნით, არამედ, როგორც ირკვევა, ხსენებული გიმნაზიის ტრადიციებთან სულიერი კავშირითაც გამოირჩევა. მისი დიდედა ბარბარე, მრავალი წლის მანძილზე გიმნაზიის ბიბლიოთეკის გამგე ყოფილა, ხოლო მამა - კოტე მახარაძე და დედა - მედეა ჩახავა - ამ სასწავლებლის აღზრდილნი.

თუ დავუკვირდებით კერძო სტუდიის საქმიანობას, 6 წლის მანძილზე, მაკა მახარაძე წარმატებულად ახერხებს მშვენიერების სამყაროში სულ უფრო მეტი რაოდენობის ბავშვთა მოზიდვას. ამ საინტერესო წამოწყების წარმატების საიდუმლოება საკმაოდ მარტივია - მაკა მახარაძე ყველა თავის პროექტს ნორჩების ინტერესებს უქვემდებარებს. იგი იხსენებს თავის პირველ ნაბიჯებს პედაგოგიურ სარბიელზე, როდესაც მისი აღსაზრდელები ჟესტისა და საცეკვაო პოზების ფლობის საიდუმლოების, მუსიკის რიტმსა და მოძრაობას შორის კავშირის აღქმას იწყებდნენ და როდესაც მათ საჯარო გამოსვლებზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო.

მაგრამ სტუდიაში მოღვაწე პედაგოგებისა და, რასაკვირველია, ნორჩების წარმატებებით ფრთაშესხმულმა მაკა მახარაძემ უკვე სამი წლის შემდეგ გადაწყვიტა, ეჩვენებინა საზოგადოებისთვის მათ მიერ გაწეული ყოველდღიური


*მაკა მახარაძე სტუდიის აღმზრდელებთან და პატარა მოცეკვავეებთან ერთად*

შრომის შედეგი. ასე დაიბადა გიმნაზიის კედლებში ბავშვების საჯარო გამოსვლის იდეა. მიუზიკლის - "დედა" - დადგმაში პატარებმა შესანიშნავად შეასრულეს შვიდი ციკნის როლი. დედის როლს თავად მაკა ასრულებდა, ხოლო მგლისას - ბალეტმაისტერი თამაზ ვაშაკიძე.

აქ ჯერ კიდევ არ იყო ცეკვა, სამაგიეროდ, იყო შესანიშნავად ორგანიზებული პლასტიკური ქმედება, სადაც პატარებმა უზადო მუსიკალობა და არტისტულობა გამოამჟღავნეს და არც იყო გასაკვირი, რომ ერთ-ერთი მონაწილის ბებიამ გამოთქვა აზრი ბავშვების დიდ სცენაზე გამოყვანის შესახებ. ძნელია იმის თქმა, იყო თუ არა ეს ბიძგი იმისათვის, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს გამართულიყო დასკვნითი სპექტაკლი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ უკვე მესამე წელია, დაწყებული 2000 წელს დადგმული "მაკნატუნადან", 2001 წელს განხორციელებული "მძინარე მზეთუნახავიდან" და ბოლოს სულ ახლახან წარმოდგენილი "კოპელიადან", რომელთა დადგმა თამაზ ვაშაკიძეს ეკუთვნის, მაკა მახარაძე საანგარიშო კონცერტებს მართავს მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრისა და ზ. ფალიაშვილის სახელობის საოპერო თეატრის სცენებზე. და თუ პირველ ორ დადგმაში ნორჩები ოსტატურად მოძრაობდნენ მუსიკის თანხლებით და ლამაზ საცეკვაო ხაზებსა და პოზებს ქმნიდნენ, "კოპელიაში" უკვე ვიხილეთ მოცეკვავე "გმირები" - სვანილდა - 11 წლის ანა გუჯაბიძე, მისი მეგობრები, თოჯინები, კოპელია - 6 წლის ანა ლომაშვილი და 75 მოსწავლისგან შემდგარი საბალეტო დასი.

უნდა ითქვას, რომ "კოპელია" მეტად საინტერესო აღმოჩნდა როგორც დრამატურგიულ, ისე დეკორატიულ და საცეკვაო ასპექტში. ბავშვები, ლონდონის სიმფონიური ორკესტრის შესრულებული კომპოზიტორ ლეო დელიბის მომაჯადოებელი მუსიკის თანხლებით ცეკვავდნენ. სპექტაკლის საოცრად მიმზიდველი სცენური გარემო სცენოგრაფმა ვანო ყიფშიძემ და მხატვარმა ანა კალატოზიშვილმა შექმნეს. რასაკვირველია, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან ბალეტის შემსრულებელნი და, პირველ რიგში, ანა გუჯაბიძე - სვანილდა, თავიანთი არაჩვეულებრივი მუსიკალობითა და უშუალობით. კარგი გემოვნების მანიშნებელ წონასწორობის გრძნობას, პატარა მსახიობებს წლების მანძილზე უნერგავდნენ მაკა მახარაძე და კლასიკური ცეკვის პედაგოგები: მანანა კოკილაშვილი, ლიკა გიორგაძე, ლალი მესხი, თამარ ანდრონიკაშვილი.

მაკა მახარაძემ თავის ირგვლივ თანამოაზრეთა გუნდი შექმნა - ყველა პედაგოგ-ქორეოგრაფი ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებულნი - მაკა მახარაძის თანაკლასელები არიან.

თანამოაზრეობითაა, აგრეთვე, აღბეჭდილი მაკა მახარაძისა და ბალეტმაისტერ თამაზ ვაშაკიძის შემოქმედებითი თანამეგობრობა.

მაკა მახარაძის სტუდია მუშაობს სპონსორების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ მშობელთა სახსრებით. მათი დამსახურებაა, რომ სტუდიას გააჩნია საბალეტო კოსტიუმების შესანიშნავი გარდერობი, და რომ სტუდიას ხელეწიფება წარმოდგენების გამართვა საქართველოს საუკეთესო თეატრალურ დარბაზებში.

თავის მხრივ, სტუდიის მადლიერი პედაგოგიური კოლექტივი ცოდნასა და ენერგიას არ იშურებს ნორჩების ყოველმხრივი მხატვრული აღზრდისათვის. ეს ვლინდება, თუნდაც, სასწავლო დისციპლინების სკრუპულოზურ შერჩევაში - კლასიკურ ცეკვასთან ერთად ქართული ხალხური ცეკვა და ცეკვა-მოდერნიც კი ისწავლება. ამავე დროს ბავშვები ეცნობიან ბალეტის ისტორიას, მეცადინეობენ მუსიკაში, ხატვაში, ეუფლებიან ქარგვის ოსტატობას.

არანაკლებ სკრუპულოზურად არიან შერჩეული სტუდიის პედაგოგები: სახასიათო ცეკვას ასწავლიან მაკა მახარაძე და მანანა კოკილაშვილი, ქართულ ცეკვას - იამზე დოლაბერიძე, ცეკვა-მოდერნს - თეონა ჩარკვიანი, მუსიკასა და მუსიკის ისტორიას - დავით შუღლიაშვილი, ბალეტის ისტორიას - თამარ ანდრონიკაშვილი, ხატვას - ანა კალატოზიშვილი, ქარგვას - მანანა გუნია. სტუდიის კონცერტმაისტერია ნანა ავალიშვილი, ხოლო გრიმიორი - ანუკა მურვანიძე.

უნდა აღინიშნოს ბალეტ "კოპელიას" რეპეტიტორის სვეტლანა მთვარელიშვილის დიდი დამსახურება, რომლის მეოხებითაც ბავშვებმა შესანიშნავი საცეკვაო წყობა, მონახაზთა სიზუსტე დაიცვეს.

და ბოლოს, საგანგებო მადლობას იმსახურებს პირველი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი, ქალბატონი ლიანა შეწირული, რომელმაც სტუდიას ფუნქციონირების იდეალური პირობები შეუქმნა.

## ბინები

### იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

საშუამავლო ფირმა "კახი 98" დაგეხმარებთ ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავება-დაგირავებაში. ტელ: 23-70-91; 96-66-27; 893 30-32-82.

იყიდება 3-ოთახიანი ბინა გლდანში. 96 78 96

იყიდება 2-ოთახიანი, გადაკეთებული 3-ად ვაჟა-ფშაველას VII კვარტ. III კორპუსი. 30 83 45

იყიდება 1-ოთახიანი ვაჟა-ფშაველას IV კვარტალში. 30 83 45

იყიდება ორთაჭალაში 2-სართულიანი აგურის შენობა (750 კვ.მ.) სარდაფით, მიწის ნაკვეთით. 75 53 55

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება 3-ოთახიანი ბინა კარგი რემონტით ვაკეში ფალიაშვილის ქუჩაზე კაპ. ა/ფარეხით. შეიძლება ახალი ავეჯითაც. 899 515854.

სასწრაფოდ, იყიდება 3+2 გაერთიანებული გადაკეთებული ბინა წერეთლის 55 ნომერში, ა/ფარეხით, მე-4 სართულზე. ს/ფასი 56 000. 899 51-58-54.

ვყიდი 3-ოთახიან ლვოვის პროექტის ბინას ვარკეთილში, მეტროსთან ახლოს. მე-7 სართული. ბინას სჭირდება კოსმეტიკური რემონტი. ფასი 7000$. 76 21 97 თინა

## მიწის ნაკვეთი

იყიდება სამოსახლო ნაკვეთი 15-წლიანი ყველა ჯიშის მსხმოიარე ხეხილით და ვაზით (რქაწითელი). შეყვანილია წყალი და 3-ფაზიანი დენი. გლდანი, თიანეთის გზატკეცილი. 57 15 77

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ვიგირავებ 1, 2 ან 3-ოთახიან ბინას. 73 65 71

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში, დღიურად. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

## კომერციული ართი

იყიდება 162 კვ.მ. ფართი, 20 კვ.მ. სარდაფით კრილოვის №6-ში. გამოდგება ოფისისათვის. 95 81 97, 78 37 07, 8(99) 56 79 88

ვიქირავებ ფართს კომერციული საქმიანობისათვის შემდგომი შესყიდვით. 8(77) 76 14 05, 29 38 68

## მანქანები

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814, 8(24) 1798 95

სასწრაფოდ და იაფად იყიდება ავტომანქანები "07" და "ტავრია". შესაძლებელია განვადებაც. 63 29 26

იყიდება 2106 კაპიტალური რემონტით, ახალი ხიდით, კარგი საბურავებით. 8(77) 78 56 13 ლევანი

## სწავლება

გერმანიაში წამსვლელებსა და მოსწავლეებს სწრაფად ვასწავლით გერმანულ ენას. 61 62 20, 8(77) 45 54 44

**შეგასწავლით!**
კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.
ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

მოვამზადებ აბიტურიენტებსა და სტუდენტებს მათემატიკაში. 95 75 11 (საღამოს საათებში)

შევასწავლი გერმანულს ნებისმიერ მსურველს. შესაძლოა ბინაზე მისვლაც. 39 61 68, 8(99) 26 91 08 თეონა

ვასწავლი მათემატიკას ნებისმიერი კლასის მოსწავლეს შეღავათიან ფასად. 61 71 46

ვამეცადინებ აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს ბიოლოგიაში. დავეხმარები ქიმიის ამოცანების შესწავლაში. 30 10 43, 62 03 75, 8(99) 11 77 40 თინათინი

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

ვისესხებ თანხას ავტომანქანის გარანტიით (10 000-15 000-ის ფარგლებში). 73 65 71

იყიდება სერვანდი, გორკა და მაგიდა. ფასი 200 $. 74 61 89

მოვუვლი მოხუცს ან ბავშვს. 74 61 89 ლია

საახალწლო საჩუქრები ინტერნეტის მოყვარულთათვის. 57 79 58

იყიდება ავტოფარეხი. ფალიაშვილის №48. ფასი 5000. 23 35 12, 8(99) 28 99 66

საშუამავლო ფირმა "კახი-98" დაგეხმარებათ თანხების სესხება-გასესხებაში ბინის



მყარი გარანტიით. დაგეხმარებით საბუთების შეგროვებაში დაბალი საპროცენტო ანაზღაურებით. 23 70 91, 96 66 24, 8(93) 30 32 82

ვთარგმნი ინგლისურიდან და რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. 75 53 55

იტალიური წარმოების დანადგარები, ამწეები, ვულკანიზაცია, აპარატები სამრეცხაოებისათვის და ა.შ. 32 60 66, 8(93) 39 55 53

მობილური ტელეფონი ერიქსონ T 10 საუკეთესო მდგომარეობაში, დამტენით, საბუთებით, ხმოვანი გამოძახებით. 32 60 66, 8(93) 39 55 53

ვამზადებ ვებ-გვერდებს. 38 71 85 ირაკლი

გთავაზობთ პარკეტის დაგებას და ლაქის წასმას. ხარისხის გარანტიით. 75-79-65 გელა, 899 512966, 899 195885.

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.







- შეგაწუხა მარტოობამ, სევდამ, სტრესმა ზამთრის გრძელ ღამეებში? გინდა იპოვო გამოსავალი?

დარეკე ☎: 822-009-555

24 საათიანი სატელეფონო ფსიქოლოგიური კონსულტაციები.

1 წთ - 50 თეთრი

ანონიმურობა დაცულია










**შ.პ.ს. ლ. ჟორდანიას სახელობის საკეთილდღეო საავადმყოფო**

**ს.ა.ს. ღ. ქორიძის სახელობის საუნივერსიტეტო სახლი** 

(თბილისის ყოფილი მე-4 სამშობიარო)




თქვენი ჯანმრთელობისა და ბედნიერი მომავლის გარანტი

**გიწვევთ & გთავაზობთ:**

- მეთვალყურეობისა და მოვლა-მკურნალობის სრულ პაკეტს დაორსულებიდან მშობიარობამდე;
- სამშობიარო სახლის კონსულტაციაში და ჩვენთან დაკავშირებულ ქვეკონტრაქტორ სხვა და სხვა ქალთა კონსულტაციებში ორსულთა სამედიცინო მეთვალყურეობის სრულფასოვნად, უფასოდ განხორციელებასთან ერთად სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის პოლისით უზრუნველყოფას (ასევე უფასოდ);

**ჩვენთან გარანტირებული გექნებათ:**

- საქართველოში ერთ-ერთ პირველ სამედიცინო დაწესებულებასთან ურთიერთობა, სადაც პოლისი „პოლისობს";
- ორსულის პოლისის მფლობელთა უფასო სამედიცინო მომსახურება სახელმწიფო სტანდარტების ფარგლებში;
- მაღალკვალიფიციური და მაღალ ტექნოლოგიური ულტრასონოგრაფიული გამოკვლევები;
- ფასიან სამეანო განყოფილებაში პოლისის მფლობელთათვის 230 ლარიანი ფასდაკლება;
- რეზუსუარყოფითიანი პაციენტების მაღალკვალიფიციური, სპეციალიზირებული დახმარება;
- ყველა სახის გინეკოლოგიური ოპერაციის განხორციელება დაბალ ფასებში;
- კეთილსინდისიერი და მაღალკვალიფიციური, სპეციალიზირებული დახმარება;
- სამედიცინო დახმარების, ლაბორატორიული გამოკვლევების, მედიკამენტებით უზრუნველყოფის, კვების და კომუნალური მომსახურების სრულფასოვანი, თანამედროვე პაკეტი;

თქვენ და თქვენს მომავალ პატარას გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს

მისამართი: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის 93 (ორთაჭალაში, ციხეების შემდეგ)

☎ 75-21-56
75-15-37

**სიახლე „იუნიქემ ფარმაცევტიკალისაგან"**

**ყველაზე ეფექტური გრიპის საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება**

**რინზა** გაგიადვილებთ სუნთქვას ალერგიული რინიტის დროს

**4 სამკურნალო პრეპარატის ეფექტური კომბინაცია**

- პარაცეტამოლი – ანთების საწინააღმდეგო, სიცხის დამწევი, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. თავის, კუნთების, სახსრების ტკივილი, მაღალი ტემპერატურა.
- კოფეინი – აუმჯობესებს ორგანიზმის ზოგად მდგომარეობას.
- ფენილეფრინის ჰიდროქლორიდი – სიმპატომიმეტიკური აქტივობა, ლორწოვანის შეშუპება.
- ქლორფენირამინის მალეატი – ანტიჰისტამინური ეფექტი. ცრემლდენა ცემინება




ოქროს სტანდარტი. ინდური წარმოება იუნიქ-ფარმაცევტიკალი. ლიდერი ფარმაციაში. დისტრიბუტორი შპს

**"ტიტანი"**

ალ. ყაზბეგის №14
ტ. 25 04 03

**გინდათ, გქონდეთ ჯანმრთელი ღრძილები და კბილები?**

- ქელე ღრძილებისათვის
- პირის ღრუს ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა და მკურნალობა
- ჯანმრთელი ღრძილები, ლამაზი ღიმილი!

წინსვლა სტომატოლოგიაში — სიახლე

**მეტროჯილ დენტა**

(1% მეტრონიდაზოლი და 0.25 ქლორჰექსიდინი).




- მწვავე ნეკროზულ-წყლულოვანი გინგივიტი
- ქრონიკული გინგივიტი
- ქრონიკული პაროდონტიტი
- აფტოზური სტომატიტი
- ინფექციური სტომატიტი

ოქროს სტანდარტი. ინდური წარმოება იუნიქ-ფარმაცევტიკალი. ლიდერი ფარმაციაში. დისტრიბუტორი, შპს **"ტიტანი"**
ალ. ყაზბეგის №14
ტ. 25 04 03.

კომბინაცია
მეტრონიდაზოლი — და — ქლორჰექსიდინი
ოქროს სტანდარტის ანაერობოციდი — აღიარებული ანტისეპტიკი

ეფექტურად თრგუნავს პირის ღრუში ინფექციური დაავადებების გამომწვევ აერობულ და ანაერობულ მიკროორგანიზმებს.

რეკომენდირებულია მოსკოვის სტომატოლოგიის ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ

**დეპრესია? სტრესი? შიში?**

გერმანული ფირმა BIONORICA AG გთავაზობთ მცენარეული წარმოშობის ანტიდეპრესანტს

**ჰელარიუმი®**
(კრაზანას ექსტრაქტი)

**საუკეთესო საშუალება თქვენი განწყობილების ასამაღლებლად!**

- ✓ პრეპარატის დასამზადებლად გამოიყენება სპეციალურად გამოყვანილი კრაზანას ყვავილები და ფოთლები
- ✓ ამაღლებს გუნება-განწყობილებას
- ✓ ნაჩვენებია დეპრესიული მდგომარეობისა და ფსიქოვეგეტატიური მოშლილობების სამკურნალოდ
- ✓ კლინიკური კვლევები ჩატარებულია პაციენტთა ფართო კონტიგენტზე
- ✓ წარმატებული შედეგი მიღწეულია პაციენტთა 80%-ში
- ✓ ხასიათდება კარგი ამტანობით
- ✓ არ გააჩნია მიღების უკუჩვენებები
- ✓ არ ახასიათებს სხვა მედიკამენტებთან ურთიერთქმედება
- ✓ მარტივი დოზირება: თითო დრაჟე დღეში სამჯერ

**ჰელარიუმი**
მცენარეული ანტიდეპრესანტი
სინთეზური ანტიდეპრესანტების საიმედო და უსაფრთხო ალტერნატივა

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 96-06-84; 95-37-10





## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
საახალწლო კონცერტი
ჰემიშ მილნი (ფორტეპიანო), დიდი ბრიტანეთი
პროგრამაში: ბახის, შოპენის მეტნერის ნაწარმოებები
დას: 19:00 სთ; ფასი 4,6,8,10 ლარი

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ზაქარია ფალიაშვილი "აბესალომ და ეთერი"
დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე
დას: 12:00 სთ

**მარჯანიშვილის თეატრი**
ლაშა თაბუკაშვილის "ნატაძრალი", რეჟ: ნუკრი ქანთარია, მთავარ როლებში ედიშერ მაღალაშვილი, გურანდა გაბუნია
დას: 18:00 სთ; ფასი 3-6 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"მეტამორფოზა", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
მანანა თავაძისა და თენგიზ მირზაშვილის გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**ძველი გალერეა**
გოგა ჯაფარიძის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

**გალერეა „ვერნისაჟი„**
საიუბილეო გამოფენა "ვერნისაჟი 5 წლისაა"

**გალერეა „უნივერსი„**
"პალერმოს გამოფენა 15 წლის შემდეგ", ფარჯიანი, მატაბელი, ბუღაძე, ჭოლოშვილი

**„ქარვასლა„**
თინა კლდიაშვილის სახელოსნოს და მისი ნამუშევრების გამოფენა
ნინო მეტრეველის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
ფოტო კოლაჟი "ძველი თბილისი", ნინო გერსამიას ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
საშობაო გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
მულტიპლიკაციური ფილმი "სპირიტი"
დას: 12:00; 14:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ობობების შემოტევა", რეჟ. ელორი ელვაიერი
დას: 16:00; 22:00 სთ; ფასი 6,7 ლარი
"ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი"
დას: 18:00; 20:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი„**
მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51", რეჟ. ბონი იუ
დას: 19:00; 21:30 სთ. ფასი 5, 7 ლარი

**„ელისო„**
მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი"
დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51",რეჟ. ბონი იუ
დას: 17:00 სთ, ფასი 5 ლარი
"შემთხვევითი მილიონერი"
დას: 19:00; 21:00 სთ; ფასი 5 ლარი



თამუნა თოფურია გამარჯვებული ნახევარფინალისტი




## TV პროგრამა 15 დეკემბერი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი "ათასწლეული"
11.50 ველური ბუნება
12.50 მხ.ფილმი
14.35 სიმფსონები
15.05 მხ. ფილმი
17.10 სერიალი "ჩინელი პოლიციელი"
18.00, 21.00, 23.40 კურიერი
18.20 მხ. ფილმი
20.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი"
21.25 ჩვენი ეზო
21.40 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "ჯონ ქიუ" 8 77 45-79-25 დენზელ ვაშინგტონი, რობერტ დიუვალი, "შავი რაინდი" 8 77 45-79-26 მარტინ ლოურენსი, მერი ფრენსი, "შეშლილი მაქსი" 8 77 45-79-27 მელ გიბსონი, ჯოელ სემუელი
23.50 მხ.ფ. "ლედი ჰამილტონის საყვარლები" მთ. როლებში მ. მერსიე, რ. ჯონსონი
01.30 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 "მოამბე"
08.15 მხ. ფილმი "ამერიკელები"
10.00 დილის პაემანი
11.05 "ამბები ჩვენზე"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 "სპა"
12.35 "პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 ღამის ჯაზი
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.20 კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი - "საპოვნელა"
17.30 "საკვირაო გამოფენა"
17.40 "ეძიე ქალი"
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 ჩემპიონი
18.55 ჩვენი მისამართია
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 "ამბოხენ"
21.25 შორეული ახლობელი
22.05 ტელესერიალი "ქალთა ოთახი"
22.55 სატ. კინოდარბაზი "მთვარის გლობუსი"
00.00 ტაიმ-აუტი
00.30 მხ. ფილმი "კაცი, რომელიც ტიროდა"

### პირველი სტერეო

09.15 - გამ. მუსათეული
10.00 - ტოროლა
11.00 - გამ. ინფაქტი
13.00 - გამ. პოლიტპაპარაცი
13.15 - პაუზის გარეშე
16.00 - ფილმი კომედია "ნოთინგ-რილი"
18.00 - გამ. სველი ხაზი
19.00 - ქართული მუსიკა
19.30 - ვიდეორადიო
21.00 - ინგლისური მუსათეული
21.45 - აბა გამოიცანი მელოდია
22.45 - კვირის საუკეთესო ვიდეოხულიგნები
23.00 - ინფორმატორი
23.30 - არასარეკლამო ათეული
00.00 - ფილმი ბრავო "გორნის პიროვნების საიდუმლო"
01.45 - ფილმი ღამურა "როლერბოლი"
03.45 - პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 "ტალანტები და თაყვანისმცემლები"
20.30 ვიცი
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნევ
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "მზის ბნელი მხარე"

### ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მუსიკა
15.00 მულტფილმი
15.30 საოცარი პირამიდა

17.00 - 19.00 რელიგიის საათი
19.00 დოკ. ფილმი
20.00 შეხვედრა ვარსვლავთან
20.20 მოგზაურობა ბავშვობაში
20.40 თავისუფალი მიკროფონი
20.50 თქვენი აზრით
21.00 დოკ. ფილმი
22.00 "იდენ-ტვ"
22.30 ოაზისი
23.30 მსოფლიო სპორტი

### იბერია

08.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.30 მხ. ფილმი "შოგაზე დავბრუნდები"
10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა
10.20 მხ.ფ. "პერდიტა დურანგო"
13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
19.30 დიდი ბრიტანეთი დღეს
20.00 მხ.ფ. "იდეალური საქმროები"
22.15 მხ.ფ. "მონადირე"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "მუმია"
14.00 მხ. ფილმი "ხმელთაშუა ზღვა"
15.45 მხ. ფილმი "მემკვიდრეობა"
17.30 მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი"
19.15 ინდ. მხ. ფილმი "სიმძიმე გულზე"
22.00 მხ. ფილმი "მუმია 2"
00.20 მხ. ფილმი "მტაცებელი 2"

### მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
10.45, 13.30, 14.40, 16.30, 00.20 მუსიკა
11.00 მხ. ფილმი "ბრწყინვალე წლები"
13.50 მულტფილმი "წითელქუდა"
15.00 მხ. ფილმი "მერლინი - პირველი ჯადოქარი"
16.40 მხ. ფილმი "ბაჭი და ჯადოსნური სამაჯური"
18.20 დოკ. ფილმი "მაიკლ ჯორდანი"
19.30 "მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 ქართ. მხ. ფილმი "მონანიება"
22.30 მხ. ფილმი "ბრძოლის ველი დედამიწა"
00.30 მხ. ფილმი "ავი ნაგაზები"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
10.30 Слово 11.30 სათავგადასავლო ფილმი "ჯორჯის კუნძული"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 "ყველანი ვართ პატარები"
12.30 ისტორიული ფილმი "სპარტაკი"
15.30 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი
17.40 სათავგადასავლო ფილმი "უკანასკნელი რაინდი" 2 სერია
19.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.40 მელოდრამა "მიწიერი სურვილები"
21.20 დოკუმენტური ფილმი
22.00, 00.00 "დღეს"
22.30 Новости в воскресенье
23.00 ტელესერიალი "ბინძური ცეკვები" 6 სერია
00.30 Новости в воскресенье
01.00 კომედია "დერეგასოვზე კარგი ამინდია ანუ ბრაიტონ-ბიჩზე კვლავ წვიმს"
02.30 დოკუმენტური ფილმი 03.30 მხატვრული ფილმი "ჰავანა"

### VII არხი

18.20 "ლა-ლა-ლა"
19.00 "აჩიკუდა"
19.20 "ავტოტრეკინგი"
20.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
20.35 "კინოკლუბი " - "კვერცხისთავიანები"
22.05 "სახლიდან გაუსვლელად"
22.40 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
23.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
00.50 "სახლიდან გაუსვლელად"
01.25 მელოდია
01.40 "სახლიდან გაუსვლელად"

საგაზეთო ქაღალდი
ფასდაკლებით

შ.პ.ს ენ-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან

საშობაო ფასდაკლება
15 იანვრამდე
ფასი -580$-მდე

ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.